

სპირაქულ-ეკონომიკური
მეცნიერება
და
ტექნოლოგიები

№4

**თბილისი
2018**

UDC (უკავ)332.2. ა.243

სბრარულ-ეკონომიკური
მეცნიერება
და
ტექნოლოგიები

№4

**თბილისი
2018**

ISSN 1987-6335

**სტრატეგულ-ეკონომიკური
მეცნიერება და ტექნოლოგიები**
2018 №4(41)

საერთაშორისო სამეცნიერო-
მეთოდოლოგიური და პრაქტიკული,
ყოველკვარტალური რეფერირებული
ჟურნალი

**Agrarian-economic
Science and Technologies**
2018 №4(41)

International Scientific-
Methodological and Applied,
Quarterly Referenced Journal

2018 №4(41)

ჟურნალი დაფუძნებულია და გამოდის
2008 წლიდან, ყოველკვარტალურად

Journal was Founded in 2008
and is issued quarterly
599-22-75-50

E-mail: areal 55555@gmail.com
www. gaas.dsl.ge

თბილისი- Tbilisi
2018

ომარ ქეშელაშვილი

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭო:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები: გ.ალექსიძე, ნ.ბალათურია, ჯ.გუგუშვილი, ჯ.კაციტაძე, პ.კოლუაშვილი, გ.მარგველაშვილი, რ.მახარობლიძე, ნ.ქარქაშაძე, ნ.ჩხარტიშვილი, ე.შაფაქიძე, ზ.ცეციტიშვილი, გ.ჯაფარიძე.

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს უცხოელი წევრები:

მარტინ აპენბრიკი (გერმანია), სერგი კაზარიანი (სომხეთი), ალექსეი სიზონოვი (უკრაინა), იან პიკული (პოლონეთი), იოსეფ კანია (პოლონეთი), ანდრეი ლეპიარჩიკი (პოლონეთი), ჩაბა ჩაკი (უნგრეთი), პანომირ ცენოვი (ბულგარეთი), სადიგ სალახოვი (აზერბაიჯანი), გალიბ გაჯიევი (აზერბაიჯანი).

საგამომცემლო-სარედაქციო კოლეგია:

დ.ეგიაშვილი-მთავარი რედაქტორის მოადგილე, სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ე.შაფაქიძე-სმმ აკადემიის აკადემიკოსი, ა.მესხიშვილი-ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ნ.დამენია-ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი, მ.ჩავლეიშვილი-ეკონომიკის აკადემიური დოქტორი.

O. Keshelashvili

Editor-in-chief and Head of Editor-Scientific Board; Doctor of Economic Sciences; Professor; Academician of the Academy of Agricultural Sciences.

Editorial-scientific Board:

Academicians of the Academy of Agricultural Sciences: G.Aleksidze, G. Baghaturia, J.Gugushvili, G.Margvelashvili, R. Makharoblidze, G. Japaridze, N. Karkashadze, J. Katsitadze, P.Koguashvili, N. Chkhartishvili, Z.Tskitishvili, E.Shapakidze.

Foreign members of Editorial-Scientific Board:

Martin Apenbreke (German); Sergi Kazarian (Armenia), Aleksei Sizonov (Ukrain), Ian Piculi (Poland), Jozef Kania (Poland), Andrzej Lepiarczyk (Poland), Chaba Chaki (Hungary), Panomir Tzenov (Bulgaria), Sadig Salakhov (Azerbaijan), Galib Gadjev (Azerbaijan).

Publishing Board

D.Egiashvili-Deputy editor, Academic doctor, E.Shapakidze- academician, A.Meskhishvili-Academic doctor, N.Damenia-Academic doctor, M. Chavleishvili-Academic doctor.

1. აგრარული ეკონომიკა Agrarian Economy

სასურსათო პროდუქციის ფასებისა და ფასწარმოების სისტემის სრულყოფისა და რეგულირების მმქანის

ომარ ქეშელაშვილი-

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

რეზიუმე (ინტერნეტული ვერსია)

აღნიშნულია, რომ საბაზრო ეკონომიკამ თავისი მკაცრი მოთხოვნები წაუყენა სოფლის მეურნეობას. დაუსაბუთებელმა და ნაჩქარევმა რეფორმებმა, სხვათა შორის, თავისი უარყოფითი კვალი დააჩვენა სასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფას, რის გამოც დაირღვა ექსპორტ-იმპორტის ბალანსი. საქართველოს სასურსათო ბაზარზე ჭარბობს იმპორტის მაჩვენებელი, რომელიც ხშირ შემთხვევაში უხარისხო პროდუქციითაა წარმოდგენილი.

მოტიანი ექსპორტში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წილი წლების მანძილზე მცირდება 35,1-დან 24,2%-მდე. რაც იმაზე მიუთითებს, რომ საექსპორტო პროდუქციის წარმოებას არ ექცევა სათანადო ყურადღება.

მითითებულია, რომ ფასწარმოების სწორი განსაზღვრა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფერმერთა საქმიანობაზე. პროდუქციის სარეალიზაციოდ მოქმედი ფასები იყოფა რეგულირებად და თავისუფალ ფასებად.

განმარტებულია, რომ ყველაზე გავრცელებულია ფასების დონის დადგენის ოთხი ძირითადი ხერხი: წარმოების დანახარჯებით; კაპიტალის შემოსავლებით; მოთხოვნაზე ორიენტაციით; მიმდინარე ფასეულობის დონით.

ხაზგასმულია, რომ აუცილებელია ფასებისა და საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის მჭიდრო ურთიერთკავშირი, რამდენადაც მათ შერწყმას შეუძლია უზრუნველყოს ფერმერული მეურნეობების ნორმალურად ფუნქციონირებისათვის სათანადო შემოსავალი.

ფასწარმოების მექანიზმი უნდა ემყარებოდეს:

- თავისუფალ ფასებსა და სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების შეთანაწყობა;
- ნორმატიული მეთოდებით ფასების გაანგარიშება;

- ფერმერების შემოსავლის უზრუნველყოფა;
 - სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სტიმულირებით საქონელწარმოების ეფექტიანობის ზრდა და მიმოქცევის ხარჯების შემცირება;
 - საფინანსო-საკრედიტო სისტემასთან ურთიერთკავშირის ოპტიმიზაცია.
- რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების დადგენას, გასათვალისწინებელია შემდეგი პირობები:
- საზოგადოებისათვის აუცილებელი პროდუქციის მოცულობა და მისი ასორტიმენტი;
 - დაგროვებასა და მოხმარებას შორის ოპტიმალური პროპორცია;
 - არსებული რესურსების ფარგლებში წარმოების ეფექტიანობის მაქსიმალურად უზრუნველყოფა.

ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლია კვალობაზე სოფლად წარმოიშვა ახალი საწარმოო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, რომელთა ფორმირება და ფუნქციონირება სათანადოდ დასაბუთებული რეკომენდაციების გარეშე მოხდა, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა მათი მდგრადი განვითარება. დაირღვა ქვეყნის სოფლის მეურნეობის ჩამოყალიბებული დარგობრივი სტრუქტურა. საბაზრო ეკონომიკამ თავისი მკაცრი მოთხოვნები წაუყენა ქვეყნის სოფლის მეურნეობას. დაუსაბუთებელმა და ნაჩქარევმა რეფორმებმა, სხვა ფაქტორებთან ერთად, თავისი უარყოფითი კვალი დაამჩნია იმ მხრივაც, რომ კატასტროფულად შემცირდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და აქედან გამომდინარე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაც.

სასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის შემცირებამ გააუარესა სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და გამოიწვია უარყოფითი მიგრაციული პროცესები სოფლიდან ქალაქის მიმართულებით, რამაც წარმოშვა უმუშევრობის დიდი მასშტაბები.

სასურსათო პროდუქტების წარმოების შემცირების შედეგად დაირღვა ექსპორტ-იმპორტის ბალანსი. საქართველოს სასურსათო ბაზარზე ჭარბობს იმპორტის მაჩვენებელი, რომელიც ხშირ შემთხვევაში უხარისხო პროდუქციითაა წარმოდგენილი.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები ბოლო წლების მიხედვით შემცირების ტენდენციით ხასიათდება.

მთლიან ექსპორტში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წილი წლების მანძილზე მცირდება 35,1-დან 24,2%-მდე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საექსპორტო პროდუქციის წარმოებას არ ექცევა სათანადო ყურადღება. ექსპორტში ძირითადი ნაწილი სოფლის მეურნე-

ობაში პროდუქტებიდან მოდის ალკოჰოლურ, უალკოჰოლო და თამბაქოს ნაწარმზე და იგი მერყეობს 64,5-დან 70,9 %-მდე. რაც შეეხება იმპორტს, აქ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წილი 16,0-20,0 %-ია და აქაც იმპორტის ძირითადი ნაწილი ალკოჰოლურ, უალკოჰოლო და თამბაქოს ნაწარმზე მოდის—46,0 და 50,8%.

სასურსათო პროდუქტების წარმოების შემცირებამ გამოიწვია მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის დონის შემცირება.

დასტურდება, რომ სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოებასა და მოხმარებას შორის მნიშვნელოვანი დისბალანსია. უარყოფითი ბალანსი ყველაზე თვალშისაცემია ხორბლის და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და მოხმარებას შორის. აღსანიშნავია, რომ ისეთი პროდუქტების, როგორცაა ბოსტნეული და კარტოფილი, რომელთა წარმოებაც უზრუნველყოფდა მოხმარებას, ბოლო დროს უარყოფითი ბალანსით ხასიათდება.

აღნიშნული ნაკლოვანებების დაძლევის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია სოფლის მეურნეობის საქონელმწარმოებელს შევუქმნათ სასურსათო პროდუქტების წარმოების ზრდის ხელსაყრელი პირობები, უპირველეს ყოვლისა მათი იაფი და ხარისხიანი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგების, იაფი კრედიტების, ხოლო დამწყები ფერმერების დაბალპროცენტიანი კრედიტების გაცემის, ან პირველ ორ წელს გადასახადისგან გათავისუფლების და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობის გზით.

სახელმწიფოს აქვს უფლებამოსილება და ვალდებულია ქვეყნის ეროვნული ინტერესების შესაბამისად დაარეგულიროს ეკონომიკური განვითარება, უფრო მეტიც, ეს მისი პირდაპირი ფუნქციაა.

მართალია საბაზრო ეკონომიკას ფასების მხრივ თავისი კანონები გააჩნია, მაგრამ სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ისეთი ბერკეტები, რომლებიც გარკვეულწილად დაარეგულირებს ფასების პოლიტიკას.

ფასწარმოქმნის სწორი განსაზღვრა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფერმერთა საქმიანობაზე.

ნფასის წინასწარ განსაზღვრა ძალზე რთულია. იგი არ არის მხოლოდ პროდუქციაზე გაწეული დანახარჯების ჯამი და მასზე დამატებული გარკვეული რაოდენობის მოგება. მისი სიდიდე განისაზღვრება ბაზარზე საქონლის მოთხოვნა-მიწოდებით. ფასი არის წარმოების მართვაში ეკონომიკურად საჭირო ინსტრუმენტი, მისი სიდიდე მოიცავს პროდუქციის ხარისხს და გასაღებას, მოგებას და გაფართოებული კვლავწარმოების შესაძლებლობას.

პროდუქციის სარეალიზაციოდ მოქმედი ფასები იყოფა რეგულირებად და თავისუფალ ფასებად.

რეგულირებადი ფასები მტკიცდება სახელმწიფოს მიერ. ასეთი ფასებია: ელექტროენერგიაზე, წყალზე, ბუნებრივ გაზზე, მომსახურების ტარიფებზე. თავისუფალი ფასები კი სახელმწიფოს მიერ არ განისაზღვრება. თავის მხრივ, თავისუფალი ფასები მწარმოებლიდან კონკრეტულ მომხმარებელამდე შუალედური რგოლების გავლისას ღებულობს შემდეგ სახეებს: საწარმო, საბითუმო და საცალო ფასები. საწარმო ფასებიდან საბითუმო და შემდგომ ფასებზე გადასვლისას ფასები იზრდება სხვადასხვა სავაჭრო და საბითუმო დანამატის ხარჯზე, რომელმაც უნდა დაფაროს ხარჯები და მოიტანოს გარკვეული მოგება.

აღნიშნული დანამატები არ არის მცირე. მოხმარების საგნების ფასებში გასაღების ხარჯები, რეკლამაზე გაწეული დანახარჯების ჩათვლით დაახლოებით 60-70%-ია, ხოლო ზოგიერთ პროდუქტიაზე საწარმო ფასის 100%-მდეც აღწევს. რაც მეტი შუალედური რგოლია მწარმოებელს და მომხმარებელს შორის, მით მეტია დანამატი ფასზე.

იმის მიხედვით, საქონელი შიდა თუ საგარეო ბაზარზე იყიდება, განასხვავებენ აგრეთვე საშინაო-ქვეყნის შიგნით მოქმედ და საექსპორტო ფასებს. საექსპორტო ფასები, როგორც წესი საშინაო ფასებზე ნაკლებია, რაც გამოწვეულია მსოფლიო ბაზარზე ღიდი კონკურენციით.

ზოგ ქვეყანაში მოქმედებს ფასდაკლების და ფასდანამატების მთელი სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს გამყიდველს მოახდინოს გარკვეული მანევრირება. პრაქტიკულად, განვითარებულ ქვეყნებში არც ერთი გაცვლა-გაყიდვა არ ხდება იმ ფასში, რომელსაც პირველად დაასახელებს გამყიდველი. ფასების დინამიკისა და მისი დონის განსაზღვრისათვის გამოიყენება ფასების სხვადასხვა მაჩვენებელი: საკონტრაქტო ფასები, საცნობარო ფასები, ფასების ინდექსი და სხვ.

საკონტრაქტო ფასები გამოხატავს მსოფლიო ბაზარზე ფასების რეალურ დონეს არსებული მოთხოვნა-მიწოდებიდან გამომდინარე, მაგრამ საკონტრაქტო ფასებზე ინფორმაციის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან იგი შეადგენს როგორც გამყიდველის, ასევე მყიდველის საიდუმლოებას. ხშირად ასეთი კონტრაქტები ქვეყნდება პრესაშიც, მაგრამ საკონტრაქტო ფასების ჩვენების გარეშე.

საცნობარო ფასები არის ის ფასები, რომლებიც ქვეყნდება უშუალო გამყიდველის მიერ. საცნობარო ფასები არ ასახავს რეა-

ლურ საკონტრაქტო ფასებს, ბაზრის კონიუნქტურის გაუარესების შემთხვევაში ფასდაკლება მატულობს და პირიქით.

ფასების ინდექსი წარმოადგენს ფარდობით მაჩვენებელს, რომელიც გამოხატავს ფასების ცვლილების დინამიკას და არ იძლევა ინფორმაციას ფასების დონის შესახებ. განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო სტატისტიკური ორგანოების მიერ პერიოდულად ქვეყნდება ინფორმაცია საქონლის გარკვეული ჯგუფების შესახებ, როგორც შიდა სახელმწიფოებრივი, ასევე საექსპორტო ფასების ცვლილებები და ამ ცვლილებების ინდექსი საბაზისო წლის მიმართ, რომლისთვისაც ფასების სასტარტო მაჩვენებლის დონედ აღებულია 100.

ფასების ინდექსი წარმოადგენს საჭირო მაჩვენებელს, როგორც საქონლის მწარმოებლისათვის, ასევე მომხმარებლისათვის. თუ ცნობილია ფასების აბსოლუტური მაჩვენებელი, ფასების ინდექსის მეშვეობით შეიძლება განისაზღვროს ფასების მდგომარეობა. იგი გვიჩვენებს ქვეყნების ვალუტის ინფლაციის დონეს და ფასების დინამიკაზე დაყრდნობით იძლევა პროგნოზს მომავალი პერიოდის ფასების შესახებ.

ყველაზე გავრცელებულია ფასების დონის დადგენის ოთხი ძირითადი ხერხი: 1. წარმოების დანახარჯებით; 2. აპიტალის შემოსავლებით; 3. მოთხოვნაზე ორიენტაციით; 4. მიმდინარე ფასეულობის დონით.

პირველ მეთოდს ფართოდ იყენებენ წარმოებაზე ორიენტაციის მიზნით. არსებობს ამ მეთოდის ორი სახესხვაობა: წარმოების სრული დანახარჯების გამოყენებით და წარმოების ზღვრული დანახარჯების გამოყენებით.

კაპიტალის შემოსავლის მეთოდი ეყრდნობა პროდუქციის წარმოების დანახარჯებსა და კაპიტალის დაგეგმილ შემოსავალს შორის სხვაობას. ამ მეთოდის გამოყენების დროს პროდუქციის დანახარჯებს ემატება პროცენტი კაპიტალურ დაბანდებაზე.

ფასების მოთხოვნაზე ორიენტაციით განსაზღვრის მეთოდი ყველაზე ორიგინალურია ფასწარმოქმნის მეთოდებს შორის. მეწარმეთა უმრავლესობა ორიენტირებულია არა წარმოების დანახარჯებზე, არამედ მისი პროდუქციის მომხმარებელზე მიწოდებით. მეწარმე გამოდის იქიდან, რომ მომხმარებელი განსაზღვრავს შეფარდებას საქონლის ფასეულობასა და მის ფასს შორის და ადარებს მას კონკურენტების საქონლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამავე დროს, რაც მეტია საქონლის დიფერენციაციის ხარისხი, მით მეტია მომხმარებლის ფასების ელასტიურობა.

კონკურენციის მიზნით ფერმერი აწესებს თავის საქონელზე კონკურენტის ფასზე ცოტა მეტს ან ნაკლებს. თუ საქონელს ხარისხის რაიმე განმასხვავებელი ნიშანი აქვს, მაშინ ფასის დაწესება კონკურენტზე მეტ ფასად გამართლებულია, იგი მხედველობაში არ იღებს ანალოგიური საქონლის საბაზრო ფასს. თუ კონკურენტმა თავის საქონელზე დასწია ფასი. ხანგრძლივი პერიოდისათვის მსგავს საქონელზე, მეორე მეწარმეც იძულებულია დასწიოს საქონლის ფასი, გაყიდვების მოცულობის გადიდების მიზნით. თუ მას შეუძლია დაიჭიროს მაღალი ფასი და არ შეამციროს იგი, მაღალი მარკეტინგული მეთოდების ამოქმედებით, მაშინ იგი ინარჩუნებს მაღალ ფასს.

ფერმერი ყველა აღნიშნული მეთოდებიდან ირჩევს მისთვის სასურველ მეთოდს და აწესებს საქონელზე ფასს. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ფსიქოლოგიური ფაქტორი. მაგალითად, მყიდველთა უმრავლესობისათვის საქონლის შესახებ ინფორმაცია. ასევე გასათვალისწინებელია კონკურენტთა რეაქცია.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფასების ელასტიურობას.

ელასტიურობა გვიჩვენებს რამდენი პროცენტით იცვლება ერთი ცვლადი მეორე ცვლადის 1%-ის შეცვლით. ფერმერმა უნდა იცოდეს რამდენად შეიცვლება მოთხოვნილება სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით. ელასტიურობა გვიჩვენებს მყიდველის რეაქციას მათ მიერ შესყიდული საქონლის მოცულობაზე.

$$\text{ელასტიურობის კოეფიციენტი } Ed = \frac{Q2 - Q1}{Q1} : \frac{P2 - P1}{P1 + P2}$$

სადაც, Q1, Q2 – გაყიდვების მოცულობაა,

P1– ძველი და P2 ახალი ფასებით.

თუ $Ed < 1$ – მოთხოვნა არაელასტიურია;

$Ed = 1$ მოთხოვნა ერთეული ელასტიურობის ტოლია;

$Ed > 1$ მოთხოვნა ელასტიურია.

თუ მარკეტინგულმა სამსახურმა დაადგინა, რომ საქონელზე მოთხოვნა არაელასტიურია ($Ed < 1$), ფერმერი ზრდის ფასს ამ საქონელზე. ამავე დროს, მოგება რეალიზაციიდან გაიზრდება, თუ პირიქით, საქონელზე მოთხოვნა ელასტიურია ($Ed > 1$), ფასების ზრდა არაა მიზანშეწონილი, ვინაიდან რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი მცირდება. ამ შემთხვევაში უმჯობესია საქონელზე ფასი შემცირდეს, ვინაიდან გაიზრდება მოთხოვნა და შესაბამისად ამონაგებიც.

განვიხილოთ მაგალითი საქართველოში ძროხის ხორცის წარმოება 2010 წელს იყო 47,0 ათ. ტ., 2017 წელს 31,3 ათ.ტ.,

ხოლო საშ. წლიური ფასი 2010 წ. -3,90ლ., 2017 წელს -6,82ლ. თუ აღნიშნულ ფორმულას გამოვიყენებთ

$$Ed = \frac{31300 - 4700}{4700 + 31300} : \frac{6,82 - 3,90}{3,90 + 6,82} = 2,7$$

Ed = 2,7

ე.ი. ელასტიურობის კოეფიციენტი დადებითია, საქონელზე მოთხოვნა ელასტიურია და ძროხის ხორცზე ფასების ზრდა არაა მიზანშეწონილი, ვინაიდან რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი მცირდება.

ახლა განვიხილოთ ჩაის მაგალითი. მისი წარმოება 2010 წელს იყო 23,1 ათ. ტ., 2017 წელს კი 7,5 ათ. ტ. მისი ფასი (ლ/კგ) 2010 წელს 8,97, ხოლო 2017 წელს 38,21, ფორმულის გამოყენებით მივიღებთ

$$Ed = \frac{7500 - 23100}{23100 + 7500} : \frac{38,21 - 8,97}{8,97 + 38,21} = -0,7$$

Ed = -0,7 და ჩაის რეალიზაციიდან მოგება იზრდება.

სხვადასხვა საქონელი სხვადასხვაგვარად რეაგირებს ელასტიურობაზე.

არაელასტიური მოთხოვნის საქონელს განეკუთვნება პირველადი მოთხოვნილების საქონელი (პური, შაქარი, ელ. ენერჯია და ა.შ); საქონელი, რომელთაც არა აქვს შემცვლელი (რძე, მედიკამენტები და ა.შ).

ეფექტიანი სტრატეგიის დამუშავების მიზნით ფერმერის ინტერესებში შედის ინფორმაციის შეგროვება ბაზრის შესახებ, მისი გამოკვლევა, მომზადება, განზოგადება და ამის საფუძველზე საქონლის მიწოდება, აგრეთვე მისი გასაღების ორგანიზაცია. ბაზრის შესახებ შეგროვილი ინფორმაციის საფუძველზე ფერმერმა უნდა დაამუშაოს სტრატეგია, მის ფარგლებში შეიძლება განხორციელდეს ძირითადი საქონლის გაყიდვა მომხმარებელზე. ნებისმიერი კონკრეტული სტრატეგიის შერჩევის დროს, იგი იძულებულია დაამუშაოს სპეციალური ფასთა პოლიტიკა, შერჩეული სტრატეგიის შასაბამისად.

ფერმერული მეურნეობა ორიენტაციას ახდენს ბაზრის მოთხოვნილებაზე პროდუქციის გასაღების პირობების მუდმივი შესწავლით, რომელიც საფუძველად უდევს მისი ძირითადი საქმიანობის ყველა დანაყოფს. ანგარიშგასაწევია ასევე ფასის დადგენა პროდუქციაზე ბაზრის მიმდინარე ფასების დონის მიხედვით, რაც გამოხატავს ფერმერთა წინდახედულობას. ეს მეთოდი გამოიყენება ოლიგოპოლიურ

ბაზარზე, სადაც იყიდება ერთი სახის საქონელი. ფერმერები ამ შემთხვევაში გამოდიან კონკურენციის პირობებიდან, ისინი ადგენენ საქონელზე ფასებს შედარებით მაღალი ან დაბალი კონკურენტების ფასის მიმართ, მაგრამ თუ საქონელს გააჩნია რაღაც თვისება, რომელიც განასხვავებს მას კონკურენტების საქონლისაგან, ან მიიღება მყიდველებისაგან როგორც სხვა საქონელი, მასზე ფასი შეიძლება დაწესდეს მოქნილად, კონკურენტების ფასების გაუთვალისწინებლად. ერთი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი ბაზარზე, როგორც წესი, უთვალთვალენ კონკურენტების ფასების ცვლილებებს. არაერთსახელიანი პროდუქციის ბაზარზე მათ აქვთ შესაძლებლობა რეაგირება მოახდინონ ფასების ცვლილებაზე. თუ ფერმერმა გადაწყვიტა, რომ კონკურენტმა შეაძინა ფასი იმ თვალსაზრისით, რომ ბიძგი მისცეს ფასების შემცირებას და მოთხოვნის საერთო ზრდას ხანგრძლივ პერიოდზე და ვარაუდობს, რომ სხვა კონკურენტები უთვალთვალენ მას, მაშასადამე, გაიზრდება ბაზრის ტევადობა, ის იძულებული იქნება შეამციროს ფასი. თუ მწარმოებელს შეუძლია კონკურენტების მოქმედებაზე უპასუხოს მარკეტინგული შესაძლებლობით, თავისი საქონლის მხარდაჭერით, ამ შემთხვევაში ფასი არ მცირდება საქონელზე. მწარმოებლებს ბაზარზე შესვლის პერიოდში შეუძლიათ გაყიდონ საქონელი შედარებით დაბალ ფასში, მოთხოვნის სტიმულირების მიზნით, რითაც მიიღწევა:

- ა) დიდი რაოდენობით პროდუქციის გამოშვება, რაც ამცირებს მის თვითღირებულებას და გასაღების ხარჯებს ერთეულ პროდუქციაზე;
- ბ) არსებული და პოტენციური კონკურენტების გასწრება.

ფერმერული მეურნეობების წარმატების წინაპირობა ფასწარმოქმნის სწორი პოლიტიკის და სტრატეგიის შემუშავება და განხორციელებაა. ზედმიწევნით უნდა იყოს ათვისებული საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი ფასწარმოქმნის მეთოდები და ხერხები.

სრულყოფილი კონკურენციის დროს ერთ-ერთი უმთავრესი დებულებაა ფასების ეგზოგენურობა. თუ ფერმერები გამოიყენებენ მონოპოლიურ ძალაუფლებას და ფასებს უკარნახებენ უფრო მსხვილ კონკურენტებს, მაშინ საბაზრო ფასი გადაიხრება ზღვრული დანახარჯებიდან მაღლა.

ფასების ინდექსის გაანგარიშებისას სამომხმარებლო საქონლის მოცულობის ზომა უნდა შეირჩეს ისე, რომ ტოლი იყოს საბაზისო და საანგარიშო პერიოდისათვის, თანაც თანაბარი უნდა იყოს მომხმარებელთა კეთილდღეობის დონე.

კონკურენტული ფასების დონე წარმოადგენს ორიენტირს მონოპოლიური, მონოფსონური და მსოფლიო ბაზრებზე ფასწარმოქმნი-

სათვის, რამდენადაც ფასების დინამიკა, როგორც სრულყოფილი, ისე არასრულყოფილი კონკურენციისას იქნება ანალოგიური საწარმოო პროცესების მსგავსი ხასიათის პირობებში.

ბოლო პერიოდში ტარიფების ზრდა ელექტროენერგიასა და ბუნებრივ გაზზე, ჯაჭვური რეაქციით იწვევს ფასების მატებას საქონელსა და მომსახურებაზე, რამდენადაც წარმოების ფაქტორთა დანახარჯების გადიდება უცვლელი მოცულების პირობებში ფასების ზრდას იწვევს.

სახელმწიფო დახმარება უნდა გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის იმ დარგებში, რომელთა პროდუქციის თვითღირებულება მნიშვნელოვნად აჭარბებს მსოფლიო ფასებს. ევროპის ქვეყნები უკვე დიდი ხანია წარმატებით იყენებს ძალზე საინტერესო საგარეო-ეკონომიკურ მოდელს, რომელიც საშუალებას იძლევა ეკონომიკისთვის ზიანის მიყენების გარეშე, მხარი დაუჭიროს შიდა ბაზარზე მასობრივი მოთხოვნის საქონელზე ფასების მაღალ დონეს, და ამავდროულად, წარმატებით ახორციელებს ამ ჯგუფების საქონლის ექსპორტს.

აღნიშნული მოდელის არსი შემდეგშია: ქვეყნის საზღვარზე ზოგიერთი საქონლის იმპორტის ჯგუფიდან უნდა ამოვიღოთ საკომპენსაციო მოსაკრებლები. იმპორტირებული საქონლის და საკომპენსაციო მოსაკრებლების ფასების ჯამური თანხა უნდა უტოლდებოდეს შიდა ბაზრის ფასს. ამგვარად, საქონლის შემოტანისას მათი ფასები გაიზრდება შიდა ბაზრის ფასებამდე. თუკი ამ დარგების საწარმოები პროდუქციის ექსპორტს მოახდენენ, მაშინ ისინი ამ ფონდიდან მიიღებენ თანხას, რომელიც ტოლი იქნება შიდა ბაზრის ფასსა და მსოფლიო ფასს შორის სხვაობისა.

საკომპენსაციო მოსაკრებლების მექანიზმი თვალსაჩინოდ შეიძლება წარმოვიდგინოთ რაბის სახით, ოღონდ წყლის მაგივრად აქ აიწ-დაიწვეს ფასები. იმპორტის დროს ეს მექანიზმი ზრდის ფასებს მსოფლიოს შიდა ბაზრის ფასებამდე, ხოლო ექსპორტის დროს დაბლა სწევს შიდა ბაზრის ფასიდან.

მაგალითად, დაუშვათ, ხდება მარცვლეულის იმპორტი მსოფლიო ფასით 100 დოლ/ტ, მარცვლეულის ფასი შიდა ბაზარზე შეესაბამება წარმოების მაღალ თვითღირებულებას და ტოლია ვთქვათ 200 დოლ/ტ. ეს გადასახდელი გროვდება სპეციალურ არასაბიუჯეტო ფონდში. თუ ქვეყანაში იწარმოება ხორცი, რომლის შიდა ფასი ტოლია 2000 დოლ/ტ, ხოლო მსოფლიო ფასი 1000 დოლ/ტ, მაშინ ქვეყნის ექსპორტიორები იღებენ ფონდიდან კომპენსაციას ზომით 1000 დოლ/ტ. ამგვარად ხდება ექსპორტის სტიმულირება.

საკომპენსაციო მოსაკრებლების მექანიზმის სქემა

ასეთი მექანიზმის წარმატებით მოქმედებისათვის აუცილებელია, რომ საკომპენსაციო მოსაკრებლების თანხა, მიღებული იმპორტიორებისგან, უტოლდებოდეს ფონდიდან გაცემულ თანხას ექსპორტიორებისთვის. საკომპენსაციო მოსაკრებლების მექანიზმის უპირატესობას წარმოადგენს მათი არაჩვეულებრივი მოქნილობა და ფორმალურად აღიარებული შესაბამისობა WT-ს პრინციპებთან.

კერძო მაგალითად განვიხილოთ ყურძნის წარმოების და შესყიდვის დარგში მსგავსი მოდელის გამოყენება, სადაც 0,65 ჰა-ზე დაიხარჯა: ვენახის მოხვნა-65 ლ, გასხვლა, რემონტი, დაკავება-187 ლ, წალმის გამოტანა-40 ლ, ფურჩქენა, თიბვა-340 ლ, ექვსჯერ შეწამვლა-472ლ., კულტივაცია- 50ლ, სხვა დანარჩენი-20 ლ, კრეფის ხარჯები 266 ლ. ჩვენი გაანგარიშებით, ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლები ტიპიურია მევენახეობის დარგისათვის ანუ თუ 1 ჰა-ზე მივიღებთ საშუალო მოსავლიანობას 49-60ც-ს, მაშინ 1 ჰა ვენახის მოვლისათვის დაიხარჯება 2215,4 ლ, იმისათვის, რომ მევენახეობის დარგი არ იქნეს განადგურებული და აქ დასაქმებულები არ გადავიდნენ სხვა დარგში, ამისათვის საჭიროა, რომ ფერმერმა თვეში ანაზღაურების სახით იმდენი მაინც მიიღოს, რამდენსაც იღებს ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებული ერთი საშუალო სტატისტიკური მუშაკი, ანუ 368,1 ლ, წელიწადში ეს იქნება 4416 ლ, ასეთი შემოსავლის მისაღებად ფერმერმა 1 კვ ყურძენი მინიმუმ 75 თე-თრად მაინც უნდა გაყიდოს.

ფასების პოლიტიკის პრინციპები

1. დაბანდებული კაპიტალის ერთეულზე დასახული მოგების მიღება;
2. ბაზარზე სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნება;
3. მყიდველობითი მოთხოვნის აქტივიზაცია;
4. სახელმწიფოს სამართლებრივი აქტების შენარჩუნება.

ფასების პოლიტიკის მიზნები

1. ბაზარზე სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნება;
2. ყველა ნომენკლატურის პროდუქციაზე მაქსიმალური მოგების მიღება;
3. რეალიზაციის მაქსიმალური შენარჩუნება;
4. ბაზარზე ლიდერობის შენარჩუნება.

ფირმის ფასების პოლიტიკა

ფასების პოლიტიკის რეალიზაციის ფორმები

1. სტაბილური ფასების შენარჩუნება;
2. ფასების ცვლილება;
3. ერთეულადი ფასების დაწესება;
4. მოთხოვნილი ფასების გამოყენება.

ფასების პოლიტიკის გამსაზღვრელი ფაქტორები

1. მოთხოვნა;
2. შეთავაზება;
3. სახელმწ. ფისკალური პოლიტიკა;
4. კონკურენტები;
5. ინფლაცია.

ფასების პოლიტიკის რეალიზაციის მეთოდები

1. საქონლის მასიური მიწოდების გათვალისწინებული ფასებით უზრუნველყოფა;
2. ბაზრის მასშტაბური დაპყრობა.

დღეისათვის სამომხმარებლო ბაზარზე წარმოდგენილია 90-მდე სასურსათო პროდუქტი, რომელთაგან მნიშვნელოვანი ნაწილი იმპორტირებულია, ძირითადად თურქეთიდან და ხარისხით მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ადგილობრივს.

სასურსათო პროდუქტებზე ფასების ცვლილება და განსაკუთრებით მატება, ძირითადად გამოწვეულია იმ მატერიალურ საშუალებათა და ენერგომატარებლების ფასების ზრდით რომლებიც საჭიროა მოცემული სასურსათო პროდუქტების საწარმოებლად.

ცხადია, რაც მეტი პროდუქცია შემოვა ბაზარზე, ფასები უფრო ნაკლები იქნება, ამის რეზერვები კი, როგორც საერთო დამუშა-

ვებული ფართობების, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდაში უნდა ვეძებოთ. რეზერვები კი ნამდვილად არსებობს.

როგორც ჩანს, ქვეყანაში ფასების საერთო ღონის ზრდა განსაკუთრებით სასურსათო საქონელზე ფასების ზრდითაა გამოწვეული, რომელთა მატებაც ბოლო წლებში მნიშვნელოვნად აღემატებოდა სასურსათო საქონელზე და მომსახურებაზე ფასების ზრდის ტემპებს. ეს ტენდენცია კიდევ უფრო ღრმავდება და იზრდება ბოლო წლებში. კერძოდ, არასასურსათო საქონელზე ფასების კლება შეინიშნება, ხოლო სასურსათო საქონელზე და მომსახურებაზე პირიქით, ფასები მკვეთრად გაზრდილია.

სასოფლო-სამეურნეო წარმოება თავისი სპეციფიკურობის გამო ხშირად საჭიროებს დახმარებას სახელმწიფოს მხრიდან, რაც მოიცავს პირდაპირ სუბსიდიებს, ფასების რეგულირებას, დაზღვევას და დაკრედიტებას, პროტექციონისტულ პოლიტიკას ზოგიერთ პროდუქტზე, კვოტირებას და ა.შ.

ფასების რეგულირების მიზნით მიზანშეწონილია სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე გლენს ჰქონდეს გარანტირებული ფასი, რომელიც შეიძლება სახელმწიფომ დაუდგინოს მათ წლის დასაწყისში, როგორც სასტარტო ფასი, თუმცა ინფლაციისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით გამორიცხული არ არის, რომ მოხდეს მისი კორექტირება გაზრდის ან შემცირების მიმართულებით.

სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასების რეგულირება შესაძლებელია მოხდეს ასევე დოტაციისა და კომპენსაციის გზითაც. საჭიროა სახელმწიფომ შეიმუშაოს იმ პრიორიტეტული პროდუქციის ჩამონათვალი, რომელზედაც შესაძლოა გაცემული იქნეს ისინი. სახელმწიფოს მხრიდან ასეთი მექანიზმების ამოქმედების დროს განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს ფასების პარიტეტს, უპირველეს ყოვლისა, ამ დარგის. ქვედარგების-შემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების ფასებს შორის, ხოლო შემდგომ თავად ქვედარგების ძირითად პროდუქტებს შორის. კერძოდ, მარეგულირებელი ფასთა სისტემის დამუშავების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ცალკეული სახის პროდუქტებსა და მთლიანად აგრარული სფეროს ფასების თანაფარდობის სრულყოფაზე, რადგან ეს პროცესი განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივ სტრუქტურასა და სურსათმწარმოებელთა შემოსავლიანობას. ფასები ჯერ უნდა დარეგულირდეს შემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგების პროდუქტებს შორის. ამას გავსწავლის მსოფლიო მოწინავე ქვეყნების გამოცდილებაც, სადაც იკვლევენ მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების ფასების შეფა-

რდებას და ოპტიმალურად მიჩნეულია: ხორბალი საქონლის ხორცის მიმართ 1:10, ღორის ხორცის მიმართ 1:9, ფრინველის ხორცის მიმართ 1:8, რძის მიმართ 1:2, კვერცხში 1:0,6 და ა.შ. საქართველოში ეს თანაფარდობა ასე გამოიყურება: ხორბალი საქონლის ხორცში 1:25, ფრინველის ხორცში 1:20, რძეში 1:4, კვერცხში თითქმის 1:1 და ა.შ. როგორც მონაცემებიდან ჩანს, თითქმის ყველა პოზიციაში აჭარბებს ხორბლის ფასს. ეს ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანაში ფასების პარიტეტი დარღვეულია ხორბლის მწარმოებელთა საზიანოდ. ცხადია, გარკვეულწილად იმითაც არის გამოწვეული ეს გარემოება, რომ მცირდება ხორბლით დაკავებულ ფართობთა ხვედრითი წილი. ამ პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზაა ქვეყნის ხელისუფლებამ შესაბამისი მექანიზმების გამოყენებით, დაარეგულიროს ხორბლისა და პურ-პროდუქტების ფასები იმპორტული უხარისხო პროდუქციის შეზღუდვით. აგრარულ სექტორში ჩარევის ასეთი მაგალითებს ადგილი აქვს ამერიკის და ევროპის ქვეყნებში.

სახელმწიფო ხშირად მიმართავს ასევე სუბსიდიების გაცემას ფერმერებისათვის, იმ დანახარჯების ასანაზღაურებლად, რომელსაც ეს უკანასკნელნი გაიღებენ კრედიტის პროცენტის გადასახდელად, რომელიც მათ აიღეს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შესაძენად.

სასურველია ასეთმა სუბსიდიამ მიაღწიოს ცენტრალური ბანკის რეფინანსირების განაკვეთის 90%-ს.

ფასებზე ზემოქმედებს ასევე ჯარიმები გადაუხდელ სესხებზე, რაც ჩვენი აზრით სახელმწიფოს მიერ ზოგ შემთხვევაში ჩამოწერილი (გვალვა, სეტყვა, ქარები და სხვა) უნდა იყოს (სახელმწიფო სუბსიდირებით) ან რესტრუქტურისებული.

ამგვარ სუბსიდიებს დასავლეთის ქვეყნებში ძირითადად ფერარალური ბიუჯეტები გაიღებენ. კერძოდ, სოფლის მეურნეობის მთლიან სესხებში რეგიონული ბიუჯეტის ხვედრითი წილი სოფლის მეურნეობის დახმარებისათვის 30%-ს შეადგენს რუსეთში, კანადაში 50%, გერმანიასა და აშშ-ში 90%.

სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს ფასების 20-40%. ეს შეეხება უმთავრესად პირველადი აუცილებელობის სოციალური მნიშვნელობის პროდუქტებს. ფასები უნდა დარეგულირდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, ენერგომატარებლებზე, საკონსტრუქციო მასალებზე, ლითონზე, სატრანსპორტო ტარიფებზე, რომლებიც გამოდის, როგორც დანახარჯების წარმომქმნელი ყველა სხვა საქონლის წარმოებისას. ამით სახელმწიფოს შესაძლებლობა ექნება გარკვეულად აკონტროლოს ფასები დანარჩენ პროდუქციაზე.

ფასები შემოსავლების გადანაწილების მძლავრი ბერკეტია. ამიტომ, ვიდრე იგი გარკვეული სახის პროდუქციაზე თავისუფალი რჩება, ხალხთა მასების გალატაკება და ქონებრივი პოლარიზაცია გაგრძელდება. ამიტომ, ზოგიერთი სახის საქონელის ფასებზე კონტროლი აუცილებელია როგორც ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის, ისე შემოსავლების გადანაწილებისათვის.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში კრედიტი სოფლის მეურნეობაში გამოიყენება როგორც საწარმოო დანახარჯების, ასევე ძირითადი ფონდების ცვეთის ხარჯების დასაფარავად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მიღებული კრედიტის მიზნობრივ გამოყენებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე გარანტირებული ფასების დარეგულირება კრედიტების საშუალებით უნდა მოხდეს. იმ შემთხვევაში, თუ კრედიტით სარგებლობისას საბაზრო ფასები მაღალი არ არის, ფერმერებმა სახელმწიფოს უნდა გადასცენ პროდუქტები სესხის დაფარვისათვის. ეს ფორმა მანამდე შეიძლება გამოიყენოს ფერმერმა, სანამ საბაზრო ფასები გარანტირებულზე ზემოთ არ აიწევს.

ფერმერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სტიმულირების პროგრამებს, რაც საკმაოდ ეფექტიანია ფასწარმოქმნის რეგულირებისას.

სოფლის მეურნეობის დაფინანსებას განსაკუთრებით ფართო მასშტაბები აქვს მიღებული ევროკავშირის ქვეყნებში. კერძოდ, ბოლო ხანებში თუ ევროკავშირის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 100 მლრდ ევროს, აქედან კავშირის აგრარული ბიუჯეტი 50 მლრდ, ანუ თითქმის ნახევარი იყო.

საშინაო ბაზრის დაუცველობამ, თუნდაც ელემენტალურად, უცხოური არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან უკვე მიგვიყვანა სამამულო ბაზრის დაკარგვასთან, რომლის დაბრუნებისათვის საჭიროა დიდი დამატებითი ხარჯები, რისი გაღებაც ფერმერებს არ ძალუძთ. ამიტომ, ფერმერული მეურნეობები უნდა დავიცვათ დამღუპველი უცხოური კონკურენციისაგან. უნდა გადაწყდეს საკითხი ღია ეკონომიკისა და ეკონომიკური უსაფრთხოების შეხამების შესახებ. ღია ეკონომიკის პირობებშიც აუცილებელია ეროვნული ინტერესების დაცვა. კონტროლი იმიტომაცაა საჭირო, რომ ქვეყანაში არ შემოვიდეს უხარისხო პროდუქცია. ამასთან ერთად, უნდა შევისწავლოთ მოსალოდნელი ცვლილებები მსოფლიო ვაჭრობის კონიუნქტურაში, რაც შეიძლება ნეგატიურად აისახოს ჩვენს ეკონომიკაზე, რათა დროულად იქნეს მიღებული შესაბამისი ზომები.

მისწრაფება ღია ეკონომიკისაკენ, შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობათა გამოყენებისაკენ უმნიშვნელოვანესია, მაგრამ, თუ უცხოური საქონელი ჯაბნის საკუთარს და ამარცხებს

კონკურენციულ ბრძოლაში, საჭიროა სამამულო მწარმოებლის დაცვა. ამისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ტარიფული პროტექციონიზმი, სავალუტო პოლიტიკა, საბაჟო გადასახადი, სატარიფო ბარიერები (ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ბაჟი, კვოტები, სახელშეკრულებო შეზღუდვები, მოთხოვნები იმპორტული საქონლისადმი და სხვა). ბაზარი უნდა უზრუნველვყოთ სამამულო მწარმოებლებისათვის და შევინარჩუნოთ საკმაოდ ქმედითი კონკურენტული გარემო. ეკონომიკურმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს საშინაო ბაზრის გაფართოებას საოჯახო და საინვესტიციო მოთხოვნის გადიდებით, სახელმწიფო ხარჯებით წარმოების მხარდაჭერაზე.

გადახდისუნარიანი მოთხოვნის ხელოვნურმა შემცირებამ საქონელწარმოების მკვეთრი დაცემის პირობებშიც კი გამოიწვია ბაზრის გაჯერება და ცხადია, ფასების ზრდის შენელება; ასე, რომ, ბაზრის დღევანდელი გაჯერება „მიღწეულია” ბაზრისაგან მომხმარებელთა უზარმაზარი მასის ჩამოშორებით.

აუცილებელია ფასებისა და საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის მჭიდრო ურთიერთკავშირი, რამდენადაც მათ შერწყმას შეუძლია უზრუნველყოს ფერმერული მეურნეობების ნორმალურად ფუნქციონირებისათვის სათანადო შემოსავალი.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში აგრარულ სექტორში ფასწარმოქმნა მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნული მეურნეობის ყველა ეკონომიკურ სისტემასთან. ფასწარმოქმნის მექანიზმი უნდა ემყარებოდეს შემდეგს:

- თავისუფალ ფასებსა და სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების შეთანაწყობა;
- ნორმატიული მეთოდებით ფასების გაანგარიშება;
- ფერმერების შემოსავლის უზრუნველყოფა;
- სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სტიმულირებით საქონელწარმოების ეფექტიანობის ზრდა და მიმოქცევის ხარჯების შემცირება;
- საფინანსო-საკრედიტო სისტემასთან ურთიერთკავშირის ოპტიმიზაცია.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების დადგენას, გასათვალისწინებელია შემდეგი პირობები:

- საზოგადოებისათვის აუცილებელი პროდუქციის მოცულობა და მისი ასორტიმენტი;
- დაგროვებასა და მოხმარებას შორის ოპტიმალური პროპორცია;
- არსებული რესურსების ფარგლებში წარმოების ეფექტიანობის მაქსიმალურად უზრუნველყოფა.

გამოცდილება ცხადყოფს, რომ რაც უფრო სწორად დავარეგულირებთ ფასებს წარმოების სტადიაზე, მით უფრო რეალურად განისაზღვრება პროდუქციის თვითღირებულება და ფასები უფრო რეალურად ასახავს კვლავწარმოების პროცესს.

იმ სამრეწველო საშუალებების ფასების განსაზღვრისას, რომლებიც წარმოებულია სოფლისათვის, არ უნდა ვიყენებდეთ შეზღუდვას. პირველ რიგში უნდა შევაჩეროთ მისი ზრდა, ხოლო შემდეგ თანდათანობით გადავიდეთ თავისუფალ ფასებზე, ამისათვის შესაძლებელია გამოვიყენოთ სხვადასხვა მიდგომა. ერთ-ერთი მათგანია ის, რომ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ძირითად სახეობებზე შემოვიღოთ სახელმწიფო რეგულირება, ნაწილობრივ კი ზღვრული ფასები ენერგომატარებლებზე, უმეტესად კი-სამრეწველო დანიშნულების იმ საქონელზე, რომელსაც საჭიროებს აგრარული სექტორი. აუცილებელია ასეთი ფასების ინდექსირება ინფლაციის გათვალისწინებით. ასევე, ზღვრული ფასების შემოღების დროს უნდა დავაწესოთ ეკონომიკური სანქციები გადაჭარბების ან სტიმულირების დონის შემცირებისათვის.

ფასების სტაბილიზაცია და მისი შემცირება შესაძლებელია დასაქმებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის კვალობაზე.

ფასებსა და ფასწარმოქმნის სტრატეგიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბაზარზე ფერმერის საქმიანობის წარმატებისათვის.

ქვეყანაში ფასების, ფასწარმოქმნის და მისი რეგულირების მიზნით საჭიროა ფინანსთა სამინისტროში ფუნქციონირებდეს სტრუქტურული ერთეული, რომელიც პერიოდულად გაანალიზებს სამომხმარებლო ბაზარზე მომქმედ ფასებს, ამასთან მისი ძირითადი ფუნქცია იქნება ფასების რეგულირების რეკომენდაციების და ნორმატიული აქტების მომზადება.

მიუხედავად იმისა, რომ ფასი კომპლექსური საბაზრო კვლევის მნიშვნელოვანი ელემენტია, იგი მიეკუთვნება ძირითადი მაჩვენებლების ფაქტორთა საკონტროლო ჯგუფს, რომელიც განსაზღვრავს მოგებას. ტრადიციულად ფასთა სტრატეგია ცუდად ვითარდება საქართველოს ბიზნესში და მათ შორის აგრარულ სექტორში, კერძოდ უმეტესწილად ფასების დადგენა ხორციელდება დანახარჯების სტრუქტურის ადეკვატური აღრიცხვის გაუთვალისწინებლად. გარდა ამისა, დამუშავებული ფასთა სტრატეგია შეუსაბამობაშია მათ საერთო სტრატეგიასთან, კერძოდ, არასაკმარისად არის გამოყენებული ისეთი ძლიერი ფაქტორი, როგორც არის ფასი ბაზრის რეგულირებაში.

Mechanisms for Refinement and Regulation of Prices and Price – formation of food products

O. Keshelashvili-

Doctor of Economic Sciences, professor,
Academician of the Georgian Academy
of Agricultural Sciences

Abstract (Internet Version)

Accurate definition and calculation of prices have a significant effect on the farmers' activities. The selling prices could be divided into regulated and free prices.

The article outlines the importance of maintenance of close relationship between prices and financial - credit mechanisms. This could sustain stable income for the farmers and create foundation for normal functioning of farming in Georgia.

- Price-formation should be based on proper mechanism;

To define the prices on agricultural product, the following should be taken into consideration:

- Total volume of necessary products for population and its assortment;
- Optimal proportion for accumulation and consumption;
- Raising the production effectiveness within the frames of existed resources.

2.მეხილეობა Fruit-growing

კლიმატური პარამეტრების გავლენა თხილის ნარგავებზე

გიორგი ზომასურიძე

დოქტორანტი,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

(ინტერნეტული ვერსია)

თხილი კლიმატური ცვლილებების მიმართ საკმაოდ მგრძობიარე მცენარეა. განსხვავებით სუბტროპიკული კლიმატის ხილის სხვა სახეობებისაგან, ის ყვავილობს ზამთრის თვეების განმავლობაში, ეს კი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ზღუდავს მის გაშენებას მსოფლიოს ბევრ რეგიონში. თხილის გაშენება შესაძლებელია ნოტიო სუბტროპიკული კლიმატის პირობებში. ტემპერატურის, ნალექების რაოდენობისა და ფარდობითი სინოტივის ცვლილებებს შეუძლია დიდი გავლენა მოახდინოს თხილის მოსავლიანობასა და ხარისხზე.

კლიმატის ცვლილების პოტენციური უარყოფითი შედეგების შესარბილებლად ფერმერებმა უნდა გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება, წარსულის გამოცდილებიდან დაწყებული ახალი საშუალებებით დამთავრებული.

მსოფლიოში, საკვებად მოხმარებულ კაკლოვანი კულტურების ნაყოფთა შორის, თხილი ფართოდ გავრცელებული კულტურაა. თხილის ნაყოფის პოპულარობას მისი მაღალი კვებითი და ტექნიკური ღირებულება განაპირობებს. თხილის ძირითადი მწარმოებელი ქვეყნებია: თურქეთი და იტალია. შედარებით მცირე მოცულობით თხილს აწარმოებს: ესპანეთი, აშშ, საბერძნეთი, საფრანგეთი, აზერბაიჯანი, საქართველო.

საქართველოში ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ჩატარებული კვლევებისა და ხალხური სელექციის გზით მიღებული და გამოვლენილია თხილის ადგილობრივი ჯიშები, რომლებიც თავიანთი ბიო-

ლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებებით არ ჩამოუვარდებიან მსოფლიოში აღიარებულ იტალიურ და ესპანურ ჯიშებს.


ქართული თხილის წარმოება საგრძნობლად განვითარდა ბოლო 10-15 წლის განმავლობაში. ხილის ბაღთან, ციტრუსოვან კულტურებთან, ვენახთან შედარებით 1 ჰექტარი თხილის ბაღის გაშენებას და შემდგომ წლებში მის მოვლას ბევრად ნაკლები დანახარჯები ესაჭიროება, რაც დღეისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ქართველი ფერმერებისათვის. თხილის ექსპორტის პროცენტულმა წილმა, 2014 წლის მდგომარეობით, მთლიანი ექსპორტის 6.4% შეადგინა.

გაზრდილია თხილის წარმოებაც. 2013 წელს ქვეყანაში წარმებული თხილის მოცულობამ 51,8 ათ. ტონა შეადგინა, მაშინ, როდესაც წინა წლებში თხილის წარმოება საშუალოდ 30,7 ათ. ტონა იყო. 2013 წლისათვის თხილის უმსხვილეს მწარმოებელ ქვეყანათა შორის საქართველოს მეოთხე ადგილი ეკავა. 2016 წლის მდგომარეობით, მსოფლიოში თხილის უმსხვილესი მწარმოებელია: თურქეთი (420), იტალია (120,6), აშშ (34,5), აზერბაიჯანი (33,9), საქართველო (29,5) ათ. ტონა. დანარჩენ თხილის მწარმოებელ ქვეყნებზე კი მოდის 105 ათ. ტონა. თხილის წარმოებისა და ექსპორტის კუთხით საქართველო მსოფლიო ბაზარზე წინ მიიწევეს და საკმაოდ დიდი პერსპექტივები აქვს.

საქართველოში თხილის მაღალხარისხოვანი მოსავლის მისაღებად ვარგისი ფართობები დაახლოებით 70-85 ათ. ჰექტარია. თხილის არსებული სამრეწველო ნარგაობა, ძირითადად, წარმოდგენილია მცირე საბაღე ფართობების სახით, თუმცა, უკანასკნელ წლებში შექმნილი დაინტერესების გამო, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში გაშენდა თხილის სამრეწველო ბაღები 50, 100 და მეტ ჰექტარზე. ქართველმა მეცნიერებმა წლების განმავლობაში შეისწავლეს ადგილობრივი ჯიშების საუკეთესო გენოტიპები, ასევე ჩატარებულია ღრმა და შრომატევადი სამუშაო: სელექციის გზით მიღებული და გამოვლენილია ახალი პროდუქტიულობით გამორჩეული ჯიშები, შემოტანილი და შესწავლილია ახალი ჯიშები, შერჩეულია ბაღის გაშენება-მოვლის ოპტიმალური ტექნოლოგიები. საქართველოში თხილის ჯიშური შემადგენლობა საკმაოდ მრავალფეროვანია და ძირითადად წარმოდგენილია ადგილობრივი ჯიშებით, კერძოდ: ანაკლიური, შველისყურა, დედოფლის თითი, ნემსა, გულშიშველა, ხაჭაპურა, ვანის თეთრი, ვანის წითელი და სხვა. თხილის ადგილობრივი ჯიშები მეტწილად მდგრადია დაავადებების მიმართ. აქედან გამომდინარე, საქართველოში წარმოებულ თხილში ძალზე მცირეა მანე ნივთიერებების შემცველობა, ვიდრე ეს დაშვებულია საკმაოდ მკაცრი საერთაშორისო

ნორმებით. ქართული თხილის ჯიშები მაღალი სასაქონლო თვისებებითა და კონკურენტუნარიანობით ხასიათდება და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქსპორტო ნედლეულია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით ავადმთი დიაგრამა, სადაც მოცემულია საქართველოს თხილის მოსავალი წლების მიხედვით. (სურ. 1).



სურ. 1. საქართველოს თხილის მოსავალი წლების მიხედვით (2006-2017 წწ. ათ. ტონა)

თხილი კლიმატური ცვლილებების მიმართ საკმაოდ მგრძობიარე მცენარეა. თხილის გაშენება შესაძლებელია ნოტიო სუბტროპიკული კლიმატის პირობებში. ტემპერატურის, ნალექების რაოდენობისა და ფარდობითი სინოტივის ცვლილებებს შეუძლია დიდი გავლენა მოახდინოს თხილის მოსავლიანობასა და ხარისხზე.

საქართველოს მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობები თხილის გავრცელების არეალს მნიშვნელოვნად არ ზღუდავს, მაგრამ გასათვალისწინებელია გარკვეული ფაქტორები. თხილის ზრდა-განვითარებაზე და მის პროდუქტიულობაზე უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს ნიადაგურ-კლიმატური პირობები. ვეგეტაციის მიმდინარეობა და ხანგრძლივობა, ყვავილობა, ნაყოფის ფორმირება და დამწიფებისთვის ხელსაყრელი პირობები განისაზღვრება კლიმატური ფაქტორებით, კერძოდ: ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, აქტიურ ტემპერატურათა ჯამი, ნალექები რაოდენობა და მისი განაწილება წლის სეზონების მიხედვით, ნიადაგის ტიპი, ქარის ქროლვის ინტენსივობა და სიჩქარე.

თხილს აქვს ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც ნიადაგის ზედა ფენებშია განლაგებული, რითაც თხილი ამარგებს და ჩამორე-

ცხვისაგან იცავს ნიადაგს. ამიტომ, ისეთი ფერდობებზე, სადაც სხვა კულტურების მოყვანა დიდ ძალისხმევას მოითხოვს, თავისუფლად შესაძლებელია გაშენდეს თხილის ნარგაობა.

აღმოსავლეთ საქართველოში თხილის კულტურის გავრცელების ოპტიმალური კლიმატური პირობებია: ნალექების წლიური რაოდენობა 1300-1500 მმ, აქედან მინიმუმ 900-1200 მმ ნალექების რაოდენობა სავეგეტაციო პერიოდში, ჰაერის ფარდობითი ტენიანობა 70-80%, აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3000-4500°C, აქედან აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ყვავილობის დაწყების პერიოდში 95-100°C, ხოლო ნაყოფის დამწიფების პერიოდში 1500°C-ზე მეტი.

დასავლეთ საქართველოში თხილის კულტურის გავრცელების ოპტიმალური კლიმატური პირობებია: ნალექების წლიური რაოდენობა 1900-2000 მმ, აქედან მინიმუმ 1200-1500 მმ ნალექების რაოდენობა სავეგეტაციო პერიოდში, ჰაერის ფარდობითი ტენიანობა 75-80%, აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3000-4500°C, აქედან აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ყვავილობის დაწყების პერიოდში 95-100°C, ხოლო ნაყოფის დამწიფების პერიოდში 1500°C-ზე მეტი.

აღმოსავლეთ საქართველოში თხილის სამრეწველოდ გავრცელებისათვის ხელსაყრელია ცალკეული ზონები, განსაკუთრებით კი შიდა კახეთის ვაღმა მხარე. შიდა კახეთის აგროკლიმატური მახასიათებლები დასავლეთ საქართველოს გურია-იმერეთის ზონებში თხილის გავრცელების ზონის მსგავსია და სათანადო აგროტექნიკური ღონისძიების გატარება შესაძლებელს ხდის თხილის საწარმოო გავრცელების არეალის გაფართოებას. თხილის სამრეწველოდ გავრცელების რეგიონებია: გურია, აჭარა, იმერეთი, სამეგრელო, კახეთი (ალაზნის ველი).

გურია-აჭარაში სამრეწველო დანიშნულებით თხილის გავრცელებისთვის რეკომენდებული ბუნებრივი პირობებია. სიმაღლე ზღვის დონიდან 50-დან 200-მდე მეტრი, ზონა ხასიათდება ჭარბტენიანი სუბტროპიკული კლიმატით, თბილი, ტენიანი ზამთრით და ცხელი ხანგრძლივი ზაფხულით, ჰაერის ტემპერატურა ვერტიკალურ ზონალობასთან დაკავშირებით ცვალებადობს 14,3-15°C-ის ფარგლებში.

ყველაზე ცივი თვის-იანურის საშუალო ტემპერატურაა 6,5°C. პირველი წაყინვა მოსალოდნელია დეკემბრის მესამე დეკადაში, ზაფხულის წაყინვა-მარტის მეორე დეკადაში. პერიოდი, როდესაც ყინვა არ ფიქსირდება, წლის განმავლობაში საშუალოდ 304 დღეს შეადგენს. ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმების საშუალო მნიშვნელობა-5°C-ია, იშვიათად, ეს ნიშნული-13°C-მდე დადის.

ყველაზე თბილი თვის-აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 22°C. ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმების საშუალო 34°C-ია, ხოლო აბსოლუტური მაქსიმუმი 41°C-ს უდრის. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3850-4450°C-ია. ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 2490-3200 მმ სეზონების მიხედვით შემდეგნაირად არის განაწილებული: შემოდგომა-33%, ზამთარი-30%, ზაფხული-23%, გაზაფხული-14%. ჰაერის წლიური საშუალო ფარდობითი ტენიანობა 81%-ია. სეტყვა მოსალოდნელია აპრილსა და ოქტომბერში. ძირითადად გაბატონებულია ჩრდილო-აღმოსავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ქარი, საშუალო სიჩქარით 2,6 მ/წმ, რომელიც სეზონების მიხედვით თითქმის თანაბარია. გურია-აჭარის ნიადაგი ძირითადად ალუვიური ტიპის ოთხი სახესხვაობით ხასიათდება: ალუვიურ-უკარბონატო, თიხნარი, ალუვიური (ნაყარი), ალუვიურ-ჭაობიანი. აგრეთვე გავრცელებულია ეწერი, წითელიწა და დაჭაობებული ნიადაგები.

იმერეთში თხილის სამრეწველო დანიშნულებით გავრცელებისთვის რეკომენდებული ზონის ბუნებრივი პირობებია. ზონა ხასიათდება ნოტიო კლიმატით, ზომიერად ცივი ზამთრით და შედარებით მშრალი ზაფხულით. საშუალო წლიური ტემპერატურა 13,5°C შეადგენს. ველაზე ცივი თვის-იანვრის საშუალო ტემპერატურა 3,4°C-ს შეადგენს. აბსოლუტური მინიმუმი შესაძლებელია -10°C-მდე დაეცეს. ყველაზე ცხელი თვის-აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 23,4°C-ია. ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი 40,5°C-ს უდრის. ზონაში შემოდგომის წაყინვები, უმეტესად, ნოემბრის ბოლოდან იწყება, ხოლო გაზაფხულის წაყინვები-აპრილის ბოლომდე. პერიოდი, როცა ყინვა არ არის მოსალოდნელი წელიწადში საშუალოდ 242 დღეს შეადგენს. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი საშუალოდ 2750-4310°C-ია. ნალექების წლიური რაოდენობა 1360 მმ-ს უდრის, რომელიც სეზონების მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული: გაზაფხული -22%, ზაფხული-18%, შემოდგომა-26%, ზამთარი-34%. გვალვა მოსალოდნელია ივლისის მეორე ნახევრიდან აგვისტოს ბოლომდე. გვალვიანი პერიოდის ხანგრძლივობა წელიწადში საშუალოდ 96 დღეს შეადგენს. ჰაერის საშუალო ფარდობითი ტენიანობა 78%-ია. სეტყვა მოსალოდნელია მარტიდან-სექტემბრამდე, სეტყვის სიხშირე მეტია მაისში. ძირითადად გაბატონებულია დასავლეთის და აღმოსავლეთის მიმართულების ქარები. ქარის საშუალო სიჩქარე შემდეგია: გაზაფხულზე-2,8 მ/წმ, ზაფხულში-2,3 მ/წმ, შემოდგომაზე-1,8 მ/წმ, ხოლო ზამთარში-1,6 მ/წმ. იმერეთში ძირითადად გვხვდება

ნიადაგი: ნეშომპალა კარბონატული, ყომრალი, თიხნარი, ეწერი, ალუვიური.

სამეგრელოში თხილის სამრეწველო დანიშნულებით გავრცელები-სთვის რეკომენდებული ბუნებრივი პირობებია. ზონა ხასიათდება ნო-ტიო თბილი კლიმატით, ზომიერად თბილი ზამთრით და ცხელი ზა-ფხულით. საშუალო წლიური ტემპერატურა ვერტიკალური ზონა-ლობის მიხედვით 13,8-14°C-ს შეადგენს, ყველაზე ცივი თვის-იან-ვრის საშუალო წლიური ტემპერატურა 4,9°C-ია. ყველაზე ცხელი თვის-ავვისტოს საშუალო წლიური ტემპერატურა 22,7°C-ია. ტემპე-რატურის აბსოლუტური მაქსიმუმი 40°C-ს უდრის. ზონაში შემო-დგომის წაყინვები უმეტესად ნოემბრის მეორე ნახევრიდან არის მოსალოდნელი, გაზაფხულის წაყინვები კი-მარტის პირველ დეკა-დამდე. პერიოდი, როდესაც ყინვა არ ფიქსირდება წლის განმა-ვლობაში 285 დღეს შეადგენს. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი საშუალოდ 3900-4900°C-ია. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა 1400-1720 მმ-ს უდრის. ნალექების საერთო რაოდენობა სეზონების მიხედვით შემდგენიერად არის გადაანაწილებული: გაზა-ფხული-18%, ზაფხული-25%, შემოდგომა-ზამთარი-57%. გვაღვა იშვიათად ფიქსირდება, ჰაერის საშუალო ფარდობითი ტენიანობა 76% შეადგენს. სეტყვის სიხშირე მეტია მარტში. ძირითადად გაბა-ტონებულია ჩრდილოეთის მიმართულების ქარები. ქარის საშუალო სიჩქარეა 1,3 მ/წმ. ძლიერ ქარიან (15-22 მ/წმ) დღეთა რიცხვი წე-ლიწადში 26 დღეს შეადგენს. სამეგრელოში, ძირითადად, წარმო-დგენილია ალუვიური ნიადაგის სახესხვაობები, წითელმიწა, ყვითელ-მიწა, ყომრალი და დაჭაობებული ნიადაგები.

კახეთში თხილის სამრეწველო დანიშნულებით გავრცელებისთვის რეკომენდებული ბუნებრივი პირობებია. ზონა ზღვის დონიდან 450-560 მეტრზე მდებარეობს და ხასიათდება მშრალი სუბტროპიკუ-ლიდან ნოტიო სუბტროპიკულზე გარდამავალი კლიმატით, ზო-მიერად ცივი ზამთრით და ცხელი მშრალი ზაფხულით. საშუალო წლიური ტემპერატურა ვერტიკალური ზონალობის მიხედვით 11,6°C-ია. ყველაზე ცივი თვის-იანვრის საშუალო ტემპერატურა 0,5°C-ს შეადგენს. ტემპერატურის მინიმუმების საშუალო-15°C-ია. აბსოლუ-ტური მინიმუმი შესაძლებელია-23°C-მდე დაეცეს. ყველაზე ცხელი თვეების-ივლისისა და ავვისტოს საშუალო ტემპერატურა 23,9°C. ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი 40°C-ს უდრის. ზონაში შემოდგომის წაყინვები უმეტესად ნოემბრის პირველი დეკადიდან იწყება, ხოლო გაზაფხულის წაყინვები-აპრილის პირველ დეკადამდე

არის მოსალოდნელი. პერიოდი, როდესაც ყინვა არ ფიქსირდება წელიწადში 208 დღეს შეადგენს. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი საშუალოდ 3754°C-ია. ნალექების წლიური რაოდენობა 900-1300 მმ-ს უდრის, რომელიც სეზონების მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული: გაზაფხული–32%, ზაფხული–28%, შემოდგომა–24%, ზამთარი–16%. გვალვა მოსალოდნელია ივნისიდან აგვისტოს ბოლომდე. გვალვიანი პერიოდის ხანგრძლივობა წელიწადში საშუალოდ 84 დღეს შეადგენს. ჰაერის საშუალო ფარდობითი ტენიანობა 69-72%-ია. სეტყვა მოსალოდნელია ძირითადად აპრილიდან ივლისამდე. ზონა გამოირჩევა სეტყვის მარცვლის სიდიდით, ამიტომ, მნიშვნელოვანი დაზიანების გამოწვევა შეუძლია. სეტყვის სისშირე მეტია ივნისში. ძირითადად გაბატონებულია აღმოსავლეთის, დასავლეთის და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულების ქარები, საშუალო სიჩქარე 1,5-2,3 მ/წმ-ია. ძლიერ ქარიან დღეთა რიცხვი წელიწადში 16 დღეს შეადგენს. კახეთში ნიადაგი წარმოდგენილია ძირითადად ტყის ყომრალი, მცირე და საშუალო სისქის ყავისფერი, ნემომპალა-კარბონატული, ალუვიური ნიადაგებით. აგრეთვე, გვხვდება შავმიწა ნიადაგის სხვადასხვა სახეობა.

თხილი კარგ მოსავალს იძლევა მშრალ და ტენიან სუბტროპიკულ ზონაში, სადაც ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 13-14°C-ია. ყველაზე ცივი თვის–იანვრის საშუალო ტემპერატურა 3,5-5,5°C-ია, ხოლო ყველაზე თბილი თვეების–ივლისი-აგვისტოს ტემპერატურა 23-25°C-ის ფარგლებში მერყეობს. თხილის სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 245-280 დღეა. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ყვავილობის დაწყებისთვის უნდა შეადგენდეს 95-100°C-ს, კვირტების გაშლისთვის–213°C-ს, ხოლო ნაყოფის დამწიფებისთვის–1500°C-ზე მეტს.

თხილის კულტურაზე საქართველოში აღრიცხულია 100-ზე მეტი მავნებელი და 20 სხვადასხვა დაავადება. მათ შორის საყურადღებოა: სხვადასხვა სახის ჩრჩილი, ბუერი, ფოთლიჭამია, ხარაბუზა, მზომელა, ტკიპა, ამერიკული თეთრი პეპელა, ცხვირგრძელა, ამბროზიის ხოჭო. 2015 წლიდან გამოჩნდა ახალი მავნებელი აზიური ფაროსანა, რომელმაც გამიწვია თხილის ნარგავების დაზიანება და მოსავლის მკვეთრი შემცირება.

დაავადებებიდან გავრცელებულია ნაცარი, ნაყოფის სიღამპლე, ფოთლის სილაქავე, ფუზარიუმი, ტრაქეომიკოზური ხმობა, ხავსები და ლიქენები.

თხილის წარმოებას საქართველოში საკმაოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნია და საკმაოდ მაღალი შემოსავლების

მოტანა შეუძლია ქვეყნისათვის. გარდა მსოფლიო ბაზარზე კაკლო-
ნების ნაყოფზე (კაკალი, თხილი, ნუში) მოთხოვნილების ზრდისა,
საქართველოს ადგილობრივ ბაზარზეც ტრადიციული ფართო მოთ-
ხოვნილებაა ამ პროდუქციაზე. არა მარტო ახალი ბალების გაშე-
ნების, არამედ ძველი ბალების ეფექტური მოვლის ხარჯზეც, ხოლო
თანამედროვე აგროტექნიკური ღონისძიებების დანერგვის პირობებში
გაცილებით მეტი მოსავლის მიღებაა შესაძლებელი.

კლიმატის ცვლილების პოტენციური უარყოფითი შედეგების შესა-
რბილებლად ფერმერებმა უნდა გამოიყენონ მათ ხელთ არსებული
ყველა საშუალება, წარსულის გამოცდილებიდან დაწყებული ახალი
საშუალებებით დამთავრებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მიროტაძე ნ. (2009) თხილის ინტენსიური ტიპის ბაღის და სადღეე
საკოლექციო ნარგაობის გაშენება-მოვლა. მებაღეობის,მევენახეობისა და
მელვინეობის ინსტიტუტი შრომების კრებული
2. Alexandrov, V, Hoogenboom, G. (2000), The Impact of Climate
Variability and Change on Crop Yield in Bulgaria. Agric For Meteorol
104:315-327.
3. Alexandrov, V., Hoogenboom, G., (2001), Climate Variations and Agri-
cultural Crop Production in Georgia”, USA. Clim Res 17:33-43.
4. Challinor, A.J., Slingo, J.M, Wheeler, T.R., Craufurd, P.Q., Grimes, DIF.,
(2003), Toward a Combined Seasonal Weather and Crop Productivity
Forecasting System: Determination of the Working Spatial Scale. J. Appl
Meteorol 42:175-192.
5. Dilley, M., (1997), Climatic Factors Affecting Annual Maize Yields in the
Valley of Oaxaca, Mexico. Int. J. Climatol 17:1549-1557. Fiskobirlik, (2008),
Records of Union of Agricultural Cooperatives for the Sale of Hazelnut.
Giresun, Turkey.
6. Kaymaz, B., Ikiel C. (2004), The Effects of Climatic Conditions on Fruit
Production in Geyve (Sakarya), International Symposium on Earth System
Science Istanbul.
7. Lobell, D., Field C, Cahill K, Bonfils C (2006), Impacts of Future Climate
Change on California Perennial Crop Yields. Agric. For Meteorol. 141:208-
218.7.
8. Lobell, D.B., Kimberley N.C., (2007), Historical Effects of Temperature
and Precipitation on California Crop Yields. Clim. Change 81:187-203.
9. Mall, RK, Singh R, Gupta A, Srinivasan G, Rathore LS (2007), Impact
of Climate Change on Indian Agriculture: a review, Clim. Change 82:1-2.

10. Olsen, J., Raab C. (2002) Harvesting, Handling and Storing Nuts from the Home Orchard
11. Tebaldi, C, Lobell, D.B., (2008), Towards Probabilistic Projections of Climate Change Impacts on Global Crop Yields. *Geophys Res Lett* 35.
12. Ustaoglu, B., (2012), The Effect of Climatic Conditions on Hazelnut (*Corylus avellana*) Yields in Gerasun (Turkey)

Effect of Climatic Parameters on Hazelnut Plants

Giorgi Khomasuridze-
Doctoral Student,
Tbilisi State University

Abstract (Internet Version)

Hazelnut is a quite sensitive plant to climatic changes. Unlike other types of fruits in subtropical climate, it flowers during winter months. This is the most significant factor limiting the cultivation of hazelnut in many regions of the world. Hazelnut can be naturally cultivated under humid subtropical climatic conditions. Changes in temperature, precipitation and relative humidity can have a great effect on hazelnut productivity and quality.

In mitigating these potential adverse effects of climate change, farmers should consider all the available methodologies, including passive and active protection practices.

3. კვების მრეწველობა Food Industry

ყურძნის წვენი და მზადების ტექნოლოგიის და სრულყოფის გზები

ნუგ ზარ ბალათურია-
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
ნანა ბეგიაშვილი-
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
მელა ორმოცაძე-
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
ცისანა შილაკაძე-
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
ბექა ბალათურია-
წამყვანი ინჟინერი

რეზიუმე (ინტერნეტული ვერსია)

ნაშრომში განხილულია ყურძნის წვენიდან ჭარბი რაოდენობის ღვინის ქვის გამოლექვის რამდენიმე მეთოდი: რეზერვუარებში წვენი თვითდაწმენდა, ულტრა გამაციებელში კრიოსკოპულ ტემპერატურამდე გაჩერება, წვენი დამუშავება მეტალვინის მჟავით.

ყურძნის წვენი წარმოადგენს საუკეთესო კვებითი, გემოვნებითი და დიეტური თვისებების მქონე-ადამიანის ორგანიზმისათვის სასარგებლო სამკურნალო პროდუქტს.

ყურძნის წვენში არსებული კვებითი და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები იოლად შესათვისებელია ადამიანის ორგანიზმისათვის. იგი შეიცავს ორგანული ნივთიერებების მთელ კომპლექსს, ძირითადად ღვინის მჟავას, მცირე რაოდენობით ვაშლის, ლიმონის, ქარვის და სხვა მჟავებს.

კალიუმის მაღალი შემცველობა არეგულირებს კალიუმ-ნატრიუმის ბალანსს და ამავრებს გულის სისხლძარღვებს.

პირითადი ნივთიერება, რომელიც განაპირობებს ყურძნის კვებით ღირებულებას, არის გლუკოზა. წვენი მოხმარებისას იზრდება სისხლის ოსმოსური წნევა, უმჯობესდება ნივთიერებათა ცვლის პროცესი. იზრდება ღვიძლის ანტიტოქსიკური თვისება, უმჯობესდება გულის მუშაობა, ფართოვდება სისხლძარღვები. მიკროელემენტებიდან ყურძნის წვენი დიდი რაოდენობით შეიცავს კალიუმის მარილებს,

ნატურალურ ყურძნის წვენს ამზადებენ ახლადდაკრეფილი ყურძნის, ახლადგამოწურული ტკბილის ან ნახევარფაბრიკატი წვენისაგან. სამარკო წვენის მისაღებად დასაშვებია ერთი ამპელოგრაფიული ჯიშის ყურძენი არა ნაკლები 16,0% მშრალი ნივთიერებების შემცველობით. უმაღლესი ხარისხის წვენებს ამზადებენ ერთი და იგივე ან სხვადასხვა ყურძნის ჯიშისაგან, არა ნაკლები 14,0% მშრალი ნივთიერებების შემცველობით.

ყურძენი გადასამუშავებლად მიაქვთ ყუთებით, არა უმეტეს 200 მმ სიმაღლის ფენით, აგრეთვე კონტეინერნავეებით არა უმეტეს 500 მმ ფენით. ტკბილს ღებულობენ ანტიკოროზიული მასალისაგან დამზადებული ცისტერნებით, ნახევარფაბრიკატს კი ასეპტიკურ პირობებში რკინიგზით ან ავტო-ცისტერნებით, ასევე მინის დახუფული ქილებით, მოცულობით 10დმ³. ყურძნის შენახვა მოკრეფიდან გადამუშავებამდე არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს, ტკბილის მიღებიდან გადამუშავებამდე—4 საათს. წარმოებაში მიღებული ყურძენი, ირეცხება ვენტილიატორული ტიპის სარეცხ მანქანაში. დაშვებულია ყურძნის გადამუშავება გარეცხვის გარეშეც. ამასთან ერთად ნავიან კონტეინერებს რეცხავენ წყლის ჭავლით, ყოველი რეისის შემდეგ. ყუთებს და კონტეინერებს ყოველი დღის ბოლოს რეცხავენ ცხელი წყლის ჭავლით. გარეცხვის შემდეგ ყურძენს ახარისხებენ, აშორებენ უცხო მინარეგებს, ობიან და დამბალ მტევნებს. ყურძნის გადამუშავება წარმოებს კომპლექსურ ხაზზე ან ხაზზე, რომელიც აღჭურვილია ლილვიანი საჭყლეტით, საწრეტით და წნეხით. წვენისათვის იყენებენ დამწრეტიდან და წნეხიდან მიღებული ტკბილის პირველ და მეორე ფრაქციას. ტკბილის დაწმენდა წარმოებს გაფილტვრით, სეპარირებით და სიცივეში დაყოვნებით. უხეშ მინარეგებს აცილებენ -4 და -12-ში გატარებით, რომელიც აღჭურვილია საცრებით დიამეტრით 0,8-დან 1,3მმ-მდე. შეპარირე-

ბას ახდენენ თეფშებიან სეპარატორებზე. სიცივით დამუშავების დროს, ტკბილს აციებენ $0-5^{\circ}$ ტემპერატურამდე და ათავსებენ რეზერვუარში, რომელიც დამონტაჟებულია გამაციებელ სათავსოში, სადაც ტემპერატურა -1 -დან -3° მდგა. დაყოვნების ხანგრძლიობაა $18-24$ საათი. დაყოვნების შემდეგ, წარმოებს ტკბილის დეკანტაცია და დაწმენდილი ნაწილი იგზავნება ასეპტიკურ პირობებში ან მაცივარ-სათავსოებში შესანახად.

დარჩენილ ლექს აცხელებენ მიღებიან თბომცვლელში $96 \pm 2^{\circ}$ ტემპერატურამდე, შემდეგ აციებენ $40-45^{\circ}$ მდე და ამუშავებენ $0,3$ გრ/ლ რაოდენობის ფერმენტული პრეპარატებით. ფერმენტული პრეპარატებით ლექის დამუშავება არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს. წვენი ნახევარფაბრიკატი შეიძლება შენახულ იქნეს $24-300$ მ³ მოცულობის რეზერვუარებში. ამასთან ერთად გამოიყენება წვენის დაკონსერვების ასეპტიკური მეთოდი ან მათი შენახვა სორბინის მჟავით. თუ შენახვის დროს წვენი ნახევარფაბრიკატი თვითონ არ დაიწმინდა წარმოებს მისი ხელოვნური დაწმენდა, ფერმენტული პრეპარატებით ბენტონიტთან ან ქულატინთან ერთად. ფერმენტული პრეპარატების მოქმედების ტემპერატურაა $40-45^{\circ}$. პრეპარატის დოზა განისაზღვრება ლაბორატორიულ პირობებში საცდელი დამუშავებით. ამ მიზნით 500 მლ-იან შვიდ ცილინდრში ათავსებენ წვენს. ექვს ცილინდრში შეაქვთ ფერმენტული პრეპარატი სხვადასხვა დოზით, მათი აქტიობის მიხედვით. ერთი ცილინდრი არის საკონტროლო ფერმენტული პრეპარატების დამატების გარეშე. ფერმენტული პრეპარატები შეაქვთ სუსპენზიის სახით, რომელიც მზადდება შემდეგნაირად: 50 მლ-იან ჭიქაში წონიან 1 მგ საზუსტით, საჭირო რაოდენობის ფერმენტს, ამატებენ მცირე რაოდენობით თბილ წვენს, შესაბამისი ცილინდრიდან ($30-40$), ენერგიულად ურევენ და აჩერებენ $35-40$ წუთს. შემდეგ სუსპენზიას ასხამენ ცილინდრში, ავლებენ ჭიქას იმავე წვენით, ურევენ წვენს ცილინდრში და აჩერებენ 2 საათს. კომბინირებული დამუშავების დროს პარალელურად ათავსებენ სხვადასხვა კონცენტრაციის ქულატინს ცილინდრში. ნალექის გამოყოფის შემდეგ ფერმენტული პრეპარატის და ქულატინის დოზას ადგენენ იმ ცილინდრის მიხედვით, რომელშიც მცირე დოზით მიიღეს უკეთესი გამჭვირვალობა. შერჩეული დოზის ანგარიშით და დასამუშავებელი ტკბილ-ნახევარფაბრიკატის მოცულობის მიხედვით წონიან ფერმენტული

პრეპარატის საჭირო რაოდენობას, უმატებენ 3-4-ჯერადი რაოდენობის წვეწვს, აჩერებენ 35-40 წუთის განმავლობაში და შემდეგ შეაქვთ მცირე ულუფებით რეზერვუარ-ფერმენტატორში წვეწვით შევსებამდე. ჟელატინის წინასწარ მომზადებული საჭირო რაოდენობა შეაქვთ ფერმენტატორში. დაწმენდის კონტროლისთვის, დასამუშავებელ წვეწვს ასხამენ ცილინდრში. 2-3 საათის შემდეგ პროდუქტს ხსნიან ლექიდან და გზავნიან შემდგომი დამუშავებისათვის. კრისტალურად გამჭვივრვალე ყურძნის წვეწვის მისაღებად, ასეთნაირად დამუშავებულ წვეწვს ფილტრავენ ფილტრ-წინებში.

ყურძნის წვეწვის ძირითად რაოდენობას, წარმოებაში აყოვნებენ რამდენიმე ხანს რეზერვუარებში, ღვინის ქვის მოცილების მიზნით. ღვინის ქვა არის მჟავაღვინომჟავა კალიუმში, ღვინომჟავა კალციუმის მცირე მინარევით.

ღვინის ქვის ხსნადობა ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

ტემპერატურა ⁰	ხსნადობა, %	ტემპერატურა ⁰	ხსნადობა, %
0	0,32	60	2,4
10	0,4	70	3,2
20	0,57	80	4,5
30	0,9	90	5,7
40	1,31	100	6,7
50	1,8		

ყურძენი შეიცავს 0,7%-მდე ღვინის ქვას, ამიტომ, ყურძნის წვეწვი 20-25 ტემპერატურაზე არის გადაჯერებული, ზოგ შემთხვევაში გადაჯერებული ხსნარი. ამასთან დაკავშირებით არ არის გამორიცხული ღვინის ქვის გამოლექვა. ღვინის ქვის გამოლექვა არ ამცირებს წვეწვის კვებით ღირებულებას, მაგრამ აუარესებს მზა პროდუქციის სასაქონლო სახეს. ამიტომ, ღებულობენ ზომებს ჭარბი რაოდენობით არსებული ღვინის ქვის მოსაცილებლად. არსებობს მისი მოცილების რამდენიმე მეთოდი. ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მეთოდია სიცივეში წვეწვის ხანგრძლივი დაყოვნება. რამდენიმე ხნის განმავლობაში ხდება წვეწვის თვითდაწმენდა, ამასთან ერთად მცირდება კოლოიდების დამცავი მოქმედება და კრისტალიზაციის ცენტრების არსებობისას მექანიკური მინარევების სახით, წვეწვში წარმოიქმნება

ეს არის მყარი ნივთიერება, ძალიან ჰიგროსკოპიული და წყალში ადვილად ხსნადი. წყალხსნარებში მეტალვინის მუავა თანდათან უერთდება წყალს და გარდაიქმნება ღვინის მუავად. მეტალვინის მუავა არ უცვლის წვეწვებს გემოს, ფერს და სრულიად უვნებელია. ის შეიძლება შეტანილი იქნას წვენში, როგორც თავისუფალი ისე, N ან Li -ის მარილების სახით. წვენში მისი მდგრადობა დამოკიდებულია შენახვის ტემპერატურაზე. 20-23⁰ ტემპერატურაზე ის განიცდის ჰიდროლიზს 3 თვის განმავლობაში, რის შემდეგაც შეიძლება გამოიყოს ღვინის ქვა. მეტალვინის მუავით დამუშავება მოითხოვს წვეწვების მომზადებას (დაწმენდა, გაცხელება, გაციება, სეპარაცია და ფილტრაცია), შემდეგ კი მასში შეაქვთ მეტალვინის მუავა. წვენში შესატანი მეტალვინის მუავის რაოდენობა უნდა იყოს 0,5-0,6გ/დმ³. წინასწარ ამზადებენ დაწმენდილ ტკბილში მეტალვინის მუავის კონცენტრირებულ ხსნარს (250-300გ/დმ³). შემდეგ ამატებენ შემკრებში წვეწვს, ხსნარის დარევა წარმოებს 5-6 წუთის განმავლობაში, რის შემდეგაც წვეწვი გადაეცემა შემდეგი ოპერაციებისათვის-გაცხელება, ჩამოსხმა, დახუფვა, სტერილიზაცია. პასტერიზაციის დროს ერთდებიან წვეწვის გაცხელებას მაღალ ტემპერატურაზე, რათა თავიდან აიცილონ ჰიდროლიზის შედეგად სტაბილიზატორის ინაქტივაცია.

მეტალვინის მუავით დამუშავებული წვეწვის ცხელ მდგომარეობაში ჩამოსხმა დაუშვებელია. ასეთ წვეწვს ინახავენ 10-20⁰ ტემპერატურაზე 6 თვის განმავლობაში, რის შემდეგაც შეიძლება გამოილექოს ღვინის ქვა. ღვინის ქვის გამოლექვა შეიძლება თავიდან იქნას აცილებული წვენში ხსნადი ორგანული მუავების კალციუმის მარილების დამატებით, რის შედეგადაც წარმოიქმნება ძნელად ხსნადი კალციუმის ტარტარატი. ის სწრაფად ილექება, რადგან მისი ხსნადობა 30-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ღვინის ქვის ხსნადობა. პროცესი გრძელდება 10 დღის განმავლობაში -1-დან -2⁰ ტემპერატურაზე. ყურძნის წვეწვი, რომელმაც გაიარა ყველა ტექნოლოგიური პროცესი, გადაეცემა ჩამოსახმელად. ჩამოსხმის შემდეგ სტერილიზაციისათვის აცხელებენ 60-70⁰ ფირფიტებიან ან მილებიან თბომცვლელში. დასაშვებია წვეწვის ცხლად ჩამოსხმა მინის ჰდმ³-იან მოცულობის ქილებში, რომელიც ხორციელდება 2- -75 ხაზზე ან ავტომატურ შემავსებლებზე. დაფასობა

წარმოებს 98+-2⁰ ტემპერატურაზე, შემდგომში დახუფული ქილების დაყოვნებით 15-20 წუთის განმავლობაში, თანდათანობით ტემპერატურის დაწვეით, წყლით ან ჰაერით 30-40⁰ -მდე. პასტერიზაცია წვენისა, რომელიც დაფასოებულია მცირე მოცულობის ტარაში, წარმოებს 85-90⁰ ტემპერატურაზე. პასტერიზაციის ხანგრძლიობა დამოკიდებულია ტარის მოცულობაზე. ქილები პასტერიზაციის შემდეგ ვიზუალურად მოწმდება სინათლის ეკრანის წინ და უკეთდება ეტიკეტი. მზა ყურძნის წვენს ორგანოლეპტიკური მანქანებლებით უნდა ჰქონდეს ნატურალური, კარგად გამოხატული გემო და არომატი, ამასთან ერთად სამარკო წვენებს უნდა ჰქონდეთ მოცემული ამპელოგრაფიული ყურძნის ჯიშის დამახასიათებელი მონაცემები.

ყველა ჯიშის ყურძნის წვენი უნდა იყოს გამჭვირვალე. უმაღლესი და პირველი ხარისხის წვენებში დასაშვებია მცირე ოპალესცენცია და ღვინის ქვის ერთეული კრისტალები.

წვენი, რომელიც შეიცავს მეტადღვინის მჟავას და/ან სორბინის მჟავას ფასდება არა უმეტეს პირველი ხარისხით.

მშრალი ნივთიერებების ხვედრითი წილი რეფრაქტომეტრით უნდა იყოს: სამარკო და უმაღლესი ხარისხისათვის არა ნაკლები 16%, პირველი ხარისხისათვის არა ნაკლები 14%, მჟავიანობა -0,2-1%, ნალექის მასიური წილი სამარკო წვენისათვის არა უმეტეს 0,08%, უმაღლესი ხარისხისათვის - 0,1%, პირველი ხარისხისათვის 0,4%-მდე

ადამიანის კვებაში ყურძნის წვენი არის ნახშირწყლების ძირითადი წყარო. 1დმ³ წვენი შეიცავს 160-220 გრ მონო და დისახარიდებს. ორგანული მჟავები წარმოდგენილია ძირითადად ღვინის მჟავით. მცირე რაოდენობით შეიცავს ვაშლის, ლიმონის, ქარვის, გლიკოლის და სხვა მჟავებს.

მიკროელემენტებიდან ყურძნის წვენი შეიცავს დიდი რაოდენობით კალიუმის მარილებს, მცირე რაოდენობით a, Ca, M ., მცირე რაოდენობით შეიცავს ასკორბინის მჟავას. ფოლიუმის მჟავას, ვიტამინ -ს, და ვიტამინ -ს

წვენი ხელს უშლის რაქიტის განვითარებას, ხელს უწყობს კუჭ-ნაწლავის დაავადებების, ფილტვის ტუპერკულოზის, გულის დაავადებების მკურნალობას.

ლიტერატურა

1. ნ. ბალათურია, ნ. ბეგიაშვილი-სასმელების ტექნოლოგია და ექსპერტიზა, თბილისი. 2017.
2. 2010 .
3. 1993 .

Ways to improve grape juice production

Nugzar Baghaturia-

Technical scientific doctor,
Academician of the Georgian Academy
of Agricultural Sciences,

Nana Begiashvili-

Technical scientific doctor,

Medea Ormotsadze-

Technical scientific candidate

Tcisana Shilakadze-

Technical scientific candidate,

Beqa Baghaturia-

Main Engineer

Abstract

(Internet version)

The paper deals with several methods of excreting the wine from excess grape juice: the self-cleaning of the juice in the reservoirs, stop ping tu the coolest temperature in ultra-refrigerator.

ყურძნის ნედლეულიდან ჰიდრატოკემპტინის მიღების რაციონალური ტექნოლოგიის დამუშავება

ლ. კოტორაშვილი-
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
მ. ორმოცაძე-
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
ე. ედიბერიძე-
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

რეზიუმე (ინტერნეტული ვერსია)

დამუშავებულია ყურძნის გადამამუშავების ნარჩენებიდან ჰიდრატოკემპტინის მიღების რაციონალური ტექნოლოგია. შესწავლილია თეთრი და წითელი ჯიშის ყურძნის გადამამუშავების ნარჩენებში პექტინოვანი ნივთიერებების ფრაქციული შედგენილობები. დადგენილია პექტინის ექსტრაქტის მიღების ოპტიმალური პარამეტრები. ექსპერიმენტებით დადგინდა, რომ ჰიდრატოკემპტინი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დანამატის სახით ანტიოქსიდანტური და რადიოპროტექტორული დანიშნულების კვების პროდუქტების საწარმოებლად (პურის ცხობაში, უალკოჰოლო სასმელებსა და რძემჟავა პროდუქტებში).

საქართველოში ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესება წარმოადგენს ერთ-ერთ მწვავე პრობლემას.

ავტომობილების რაოდენობის განუხრელი ზრდა, ნავთობის გადამამუშავებელი საწარმოების უქონლობა, სამომხმარებლო ბაზარზე დაბალი ხარისხის სურსათის უკონტროლო შემოდინება ნეგატიურ გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. როგორც ცნობილია, ჩერნობილის ავარიამ ისეთივე გავლენა მოახდინა დასავლეთ საქართველოს გარემოს დაბინძურებნაზე, როგორც ბელორუსიასა და უკრაინაში. ამ პრობლემის ნაწილობრივად დაძლევისა და ორგანიზმის ფუნქციის აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით დღის წესრიგში დგება ფუნქციური კვების პროდუქტების შექმნისა და დანერგვის აუცილებლობის საკითხი, რომელსაც გააჩნია კომპლექსური დამამუშავებელი უნარი მძიმე მეტალებსა და რა-

დიოაქტიურ ნივთიერებებთან. ასეთ ფუნქციურ ქიმიურ ნივთიერებებს წარმოადგენს პექტინოვანი ნივთიერებები.

პექტინოვანი ნივთიერება-ესაა მაღალმოლეკულური პოლისაქარიდები, რომელიც სხვადასხვა ფორმით (ხსნადი და უხსნადი) მოიპოვება თითქმის ყველა მცენარეში. პექტინოვან ნივთიერებათა თვისებებს შორის უნდა აღინიშნოს მათი მაქვირებელი და კომპლექსწარმოქმნელი თვისებები, ადამიანის ორგანიზმიდან მძიმე მეტალებისა და რადიოაქტიური ნივთიერებების, სამკურნალო საშუალებების ნარჩენების გამოტანის უნარი. სამწუხაროდ, საქართველოში მსგავსი პროდუქტები არ იწარმოება. ყურძენი წარმოადგენს საკვები და სამკურნალო თვისებების მქონე ბუნებრივ წყაროს, რომელიც განაპირობებს თვით ყურძნისა და მისი გადამუშავების პროდუქტების სამკურნალო-პროფილაქტიკურ თვისებებს.

ყურძნის პექტინოვან ნივთიერებებს გააჩნია ტოქსიკური ნივთიერებების მეტალებისა და რადიონუკლიდების ადსორბირებისა და ორგანიზმიდან გამოტანის უნარი. ყურძნის პექტინოვანი ნივთიერებები, სხვა სამრეწველო ნივთიერებებიდან მიღებული პექტინებისაგან განსხვავდება დაბალი მეტოქსილირების ხარისხით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ყურძნის გადამუშავების ნარჩენები წარმოადგენს საუკეთესო ნედლეულს სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების ექსტრაქტების დასამზადებლად. დღემდე ჩატარებული გამოკვლევები ძირითადად ეძღვნებოდა ყურძნის გადამუშავების ნარჩენებიდან პექტინის ფხვნილის მიღებისა და გამოყენების საკითხებს.

ბოლო წლების გამოკვლევებით კი დადგენდა, რომ მიზანშეწონილია ვაწარმოთ არა მარტო მშრალი პექტინი, რომელიც მოითხოვს რთულ ტექნოლოგიურ დანადგარებს, მაღალ ენერგეტიკულ და მატერიალურ დანახარჯებს, არამედ ისეთი პროდუქტებიც, როგორებიცაა პექტინის ექსტრაქტები და კონცენტრატები, რომელთა მიღების ტექნოლოგიები უფრო უნივერსალური, აპარატურულ შესრულებაში მარტივი და ეკოლოგიურია.

ნაკლებადაა შესწავლილი ჰიდრატოპექტინის ტექნოლოგია და ამ მეტად პერსპექტიული საკვები დანამატის გამოყენება კვების პროდუქტებში.


ჰიდრატოპექტინის უპირატესობა მშრალ პექტინთან შედარებით მდგომარეობს მის დაბალ თვითღირებულებაში. გარდა ამისა, ტექნოლოგიურად უფრო მარტივია მისი კვების პროდუქტებში შეტანა.

ჰიდრატოპექტინი ხასიათდება ძალიან მაღალი დონის რადიოპროტექტორული უნარით. ამ დანამატის თავისებურებას წარმოადგენს ისიც, რომ მასში მაქსიმალურადაა შენარჩუნებული ნატურალობა, ამიტომ, ის შესაძლებელია (დანამატის სახით) გამოყენებული იქნას

ანტიოქსიდანტური და რადიოპროტექტორული დანიშნულების კვების პროდუქტების მისაღებად.

დადგენილია, რომ სხვადასხვა ჯიშის ყურძენში ფიქსირდება პექტინოვანი ნივთიერებათა სხვადასხვა რაოდენობა. როგორც წესი, პროტოპექტინი რამდენადმე მეტი რაოდენობითაა წარმოდგენილი ხსნად პექტინთან შედარებით. ამასთან, წითელი ჯიშის ყურძენი, თეთრ ყურძენთან შედარებით, უფრო მეტი რაოდენობით შეიცავენ პექტინოვანი ნივთიერებებს. აგრეთვე, დადგენილია, რომ ყურძენში მეტოქსილირებული პექტინის რაოდენობა შეადგენს 6,1%-ს, ეთერიფიკაციის ხარისხი—46,0%, ხოლო ნაცარი—2,8%.


ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ჰიდრატოპექტინის მიღება ყურძნის გადამუშავების ნარჩენებიდან, რომელიც შემდგომში გამოყენებული იქნება კვების პროდუქტებში (პურის ცხობაში, უალკოჰოლო სასმელებსა და რძემჟავა პროდუქტებში) დანამატის სახით. შესწავლილი იქნა თეთრი და წითელი ჯიშის ყურძნის გადამუშავების ნარჩენებში პექტინოვანი ნივთიერებების ფრაქციული შედგენილობები.



სურ. 1 – თეთრი ჯიშის ყურძნების ნარჩენების გადამუშავების გამონაწნხში პექტინოვანი ნივთიერებების ფრაქციული შედგენილობა

დადგენილია, რომ ყურძნის გადამუშავების მეორად პროდუქტებში ხსნადი პექტინი შეადგენს 2,8%, პროტოპექტინი კი 3,9%-ნელეულის მშრალ მასაზე გადაანგარიშებით.

ყურძნის გადამუშავების ნარჩენებიდან ჰიდრატოპექტინის მიღების რაციონალური ტექნოლოგიის დამუშავების მიზნით, ჩვენ შევისწა-



სურ. 2 წითელი ჯიშის ყურძნების გადამუშავების ნარჩენების გამონაწნხში პექტინოვანი ნივთიერებების ფრაქციული შედგენილობა

ვლეთ ოპტიმალური ტექნოლოგიური რეჟიმები: ტემპერატურა, მასების თანაფარდობა, მაჰიდროლიზებული აგენტის სახეობა და კონცენტრაცია, ჰიდროლიზის პროცესის ხანგრძლივობა. დადგენილი იქნა, რომ ნელეულიდან ჰიდრატოპექტინის გამოსავლიანობა და-მოკიდებულია ჰიდროლიზის პროცესის ტემპერატურაზე, კონცენტრაცია-სა და ხანგრძლივობაზე.

კვლევისას გამოყენებულ იქნა ღვინის მჟავა, ლიმონის მჟავა, ძმარმჟავა და მჟაუნმჟავა. აღნიშნული ორგანული მჟავებიდან ყველაზე კარგი შედეგი მოგვცა ექსტრაგენტად ღვინის მჟავის გამოყენებამ. მაგრამ, რადგანაც ლიმონმჟავა გაცილებით უფრო იაფია ღვინის მჟავასთან შედარებით, ჩვენ კვლევები განვაგრძეთ ლიმონმჟავას გამოყენებით.

ექსპერიმენტების საფუძველზე დადგენილი იქნა ყურძნის გადამუშავების ნარჩენებიდან ჰიდრატოპექტინის მიღების ოპტიმალური პარამეტრები: 0,5% კონცენტრაციის ლიმონმჟავა, ჰიდრომოდული

1:5, ტემპერატურა 80⁰ჩ, ექსტრაქციის ხანგრძლივობა 3-3,5 საათი, ჭაჭის დაქუცმაცების ხარისხი 5 მმ (ჭაჭის ტენიანობა 8-10%).

დადგენილ იქნა ჰიდრატოპექტინის ორგანოლექტიკური და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები (ცხრილი). მიღებული ექსტრაქტები ხასიათდება სასიამოვნო ჰარმონიული გემოთი, ჯიშური ფერითა და არომატით.

(ცხრილი)

ყურძნის ჯიში	მშრალი ნივთიერება, %	პ	ექტინოვანი ნივთიერება, %	სისუფთავის ხარისხი	მეტოქსილის ჯგუფი, %	ეთერიფიკაციის ხარისხი, %
ლქაწითელი	3,5	3,1	0,6	0,3	15,2	48,4
საფერავი	3,8	2,8	0,9	0,2	14,1	46,3

ყურძნის პექტინოვანი ნივთიერებები სხვა სამრეწველო ნედლეულიდან მიღებული პექტინებისაგან განხვადება სწორედ დაბალი მეტოქსილირების ხარისხით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ყურძნის გადამუშავების ნარჩენები (ჭაჭა) წარმოადგენს საუკეთესო ნედლეულს სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების ექსტრაქტების დასამზადებლად. როგორც ცნობილია, დაბალმეტოქსილირებულ პექტინებს გააჩნია უნარი წარმოქმნან ორგანიზმში მოხვედრილ მძიმე მეტალებსა და რადიონუკლიდებთან უხსნადი კომპლექსი და გამოიტანონ ისინი ორგანიზმიდან.

ამრიგად, ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ მიზანშეწონილია ვაწარმოთ არა მარტო მშრალი პექტინი, რომელიც მოითხოვს რთულ ტექნოლოგიურ დანადგარებსა და მაღალ ენერგეტიკულ და მატერიალურ დანახარჯებს, არამედ ისეთი პროდუქტებიც, როგორებიცაა პექტინის ექსტრაქტები და კონცენტრატები, რომელთა მიღების ტექნოლოგიები უფრო უნივერსალური, აპარატურულ შესრულებაში მარტივი და ეკოლოგიურია. ამ მხრივ პერსპექტიულ მიმართულებად უნდა ჩაითვალოს პექტინის ექსტრაქტების წარმოება, რომლებიც დანამატების სახით შეიძლება გამოყენებულ იქნას ანტიოქსიდანტური და რადიოპროტექტორული დანიშნულების კვების პროდუქტების საწარმოებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. ბალათურია–ყურძნის ქართული არაყი ჭაჭა, თბილისი, 2017 წ.
2. Донченко Л. В.–Технология пектина и пектинопродуктов–М., 2000.
3. Донченко Л. В.–Виноградные выжимки–перспективный промышленный источник пектиновых веществ. М. 2010.

Working out the rational technology of receiving the hydro-pectin from grape raw material

L. Kotorashvili-

Technical scientific candidate.

M. Ormotsadze-

Technical scientific candidate,

E. Ediberidze-

Technical scientific candidate

Abstract

(Internet version)

There is worked out the rational technology of receiving the hydro-pectin from the grape processing remains. There was studied the factional compositions of pectin substances in white and red type grape processing remains. The optimal parameters of receiving the pectin extract is established. Through the experiments there was established that hydro-pectin can be used as an additive in order to produce the antioxidant and radio-protectal purpose food products (bakery, non-alcoholic and dairy products).

4.სასოფლო-სამეურნეო დარბაზი Consulting hall

სასოფლო-სამეურნეო მხსენსია აჭარაში და
მისი პერსპექტიული მიმართულებები

გორა ბერიძე-
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
დოქტორანტი

რეზიუმე (ინტერნეტული ვერსია)

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდისა და ფერმერების თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გაცნობისათვის უკანასკნელ პერიოდში მსოფლიო მასშტაბით ფართოდ ინერგება საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება ანუ ექსტენციის სამსახური. ის საშუალებას აძლევს ფერმერებსა და კერძო აგრომეწარმეებს გაეცნენ სოფლის მეურნეობაში შრომატევადი ოპერაციების შესრულებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მოწყობილობებს, მნიშვნელოვნად გაზარდონ სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოება და მოგება.

სტატიაში წარმოდგენილია ექსტენციის თავისებურებანი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სიტუაციური ანალიზი, ექსტენციის განვითარება 2013-2016 წლებში, გამოცდილება, შედეგები, გამოწვევები.

უკანასკნელ პერიოდში, აქტიურად განიხილება სოფლად ექსტენციისა და საკონსულტაციო მომსახურების გაძლიერება, მაგრამ ამისათვის საჭირო შესაძლებლობების განვითარებაზე ბევრი რამ ცნობილი არ არის. ასევე არ არის გარკვეული ექსტენციისა და საკონსულტაციო მომსახურების როლი აგრარულ ინოვაციურ სისტემებში[1,2].

სასოფლო-სამეურნეო ექსტენცია-წარმოადგენს არაფორმალურ საგანმანათლებლო პროცესს, რომელიც მოიცავს

ფერმერთათვის შესაბამისი კონსულტაციებისა და ინფორმაციის მიწოდებას, რაც გამიზნულია მათი წარმოების, მოცულობისა და კონკურენტუნარიანობის, ასევე მათი ცხოვრების საერთო დონის ამაღლებისთვის.

ფერმერული მეურნეობის ეფექტიანობა პირდაპირ კავშირშია სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნასთან და ხელმისაწვდომობასთან.

აჭარის რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით (ბუნებრივ პირობები), ასევე იმპორტირებულ პროდუქტებთან დაბალი კონკურენტუნარიანობის პირობებში, სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მიწოდებას განსაკუთრებული დატვირთვა და მნიშვნელობა ენიჭება [3,4].

საქართველოს მთავრობის, 2012 წლის 28 დეკემბრის 485 დადგენილების შესაბამისად შეიქმნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების-საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები, სულ-54 სამსახური. 2014 წლის 3 დეკემბრის 654 დადგენილებით შეტანილი ცვლილების შესაბამისად შეიქმნა-9 რეგიონული სამმართველო და შესაბამის მუნიციპალიტეტებში 45 საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური. აღნიშნული სამმართველოები და სამსახურები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 28 თებერვალის 2-63 ბრძანების-, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების-საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ტიპური დებულების შესაბამისად. არსებული საჭიროებიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 27 თებერვლის 27 ბრძანების შესაბამისად, ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრში“ შეიქმნა 6 საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური, აჭარის ყველა მუნიციპალიტეტებში, სადაც დასაქმდა 25 ადამიანი მათ შორის 23 ექსტენციონისტი [5].

შემდგომ წლებში, განხორციელდა ცვლილებები და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 10 ოქტომბრის 32 დადგენილებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის

15 ოქტომბრის 120 ბრძანების შესაბამისად, სამინისტროს სტრუქტურული ერთეულის სახით შეიქმნა ექსტენციის ორდონიანი (ცენტრი+მუნიციპალიტეტი) სისტემა-საინფორმაციო-საკონსულტაციო დეპარტამენტისა და მასში შემავალი საინფორმაციო-საკონსულტაციო განყოფილებების სახით აჭარის ყველა მუნიციპალიტეტებში 5 განყოფილება, სულ 27 ადამიანით, მათ შორის 23 ექსტენციონისტი. აღნიშნული დეპარტამენტი თავის საქმიანობას ახორციელებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 3 აპრილის 32 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს 136 ბრძანებით დამტკიცებული საინფორმაციო-საკონსულტაციო დეპარტამენტის ტიპური დებულების შესაბამისად.

აჭარაში, ექსტენციის სისტემამ სხვადასხვა ეტაპი განვლო. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ფერმერთა და აგრომეწარმეთა საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებას 2011 წლიდან ახორციელებს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“-ს საშალებით. 2012 წლიდან ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრში“ ფერმერთა და აგრომეწარმეთათვის შესაძლებელი ხდება ექსტენციის ფასიანი სერვისების მიღება: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერება; ნიადაგის აგროქიმიური ანალიზი და სასუქებზე რეკომენდაცია; ნერგის წარმოებარეალიზაცია; სასაწყობე და სამაცივრე მეურნეობით უზრუნველყოფა; ხილის შრობა და ა.შ.. 2013 წელს, ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრს“ დაემატა 6 საინფორმაციო-საკონსულტაციო განყოფილება შესაბამისი მატერიალური ბაზით, რომელთა ფუნქცია ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების გაწევა იყო. 2014 წლიდან კი სამინისტროში შეიქმნა დეპარტამენტი და მის დაქვემდებარებაში ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრიდან“ გადავიდა საინფორმაციო-საკონსულტაციო განყოფილებები.

აჭარაში, სხვადასხვა ეტაპზე არსებულმა ექსტენციამ საკმაოდ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია. შეიქმნა „სოფლის

მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო დეპარტამენტისა და ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ექსტენციის სერვისების მართვის ელექტრონული სისტემა“, რაც, შემდგომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მთელი ქვეყნის მასშტაბით დანერგა.

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“-ს ბაზაზე, ქობულეთის გვარა-ხუცუბნისა და დაბა ჩაქვის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სხვადასხვა მსხვილი სადემონსტრაციო-სანერგე მეურნეობა-ციტრუსის, ხილის, ვაზის, ბოსტნეული კულტურების, კენკროვნებისა და სხვა (დახურული და ღია გრუნტი), რომელთა მეშვეობით ფერმერებსა და აგრომეწარმეებს მიეწოდება სამი ძირითადი მომსახურება:

ჯიშების გამოცდა და ფერმერებისა და აგრომეწარმეებისათვის რეკომენდაციების მიწოდება;

დემონსტრაცია-ფერმერებსა და აგრომეწარმეებს შეუძლიათ ნახონ სხვადასხვა სახეობები და ჯიშები პრაქტიკაში და ასევე თვალყური ადევნონ ბაღების მართვის თანამედროვე ტექნიკას;

ნერგის წარმოება-მათი შემდგომი რეალიზაციის მიზნით. საქართველოში პირველად აჭარაში განხორციელდა ექსტენცია შემდეგი მიმართულებებით:

- მოეწყო სადემონსტრაციო ნაკვეთები, საველე აგროქიმიური ცდები;
- მასმედიის ექსტენცია (ტელევიზია, რადიო, გაზეთი, ინტერნეტი);
- ნაბეჭდი მასალები (ლიფლეტები, ბროშურები, წიგნები, პოსტერები) მიეწოდება ყველა ფერმერსა და აგრომეწარმეს;
- ტარდება ჯგუფური აქტივობები (სემინარები, ტრენინგის კურსები, ფერმერთა ჯგუფებთან მუშაობა);
- ინდივიდუალური რჩევები (ვიზიტი ფერმებში, კითხვებზე პასუხის გაცემა უშუალოდ კონსულტანტის მიერ, ტელეფონით, ან ელ-ფოსტით);
- ფასიანი ექსტენცია (ხელოვნური განაყოფიერება; ნიადაგის აგროქიმიური ანალიზი და სასუქებზე რეკომენდაცია; ნერგის წარმოება-რეალიზაცია და ა.შ.).

გაწეული ექსტენციის არსებული შედეგები ცხადყოფს, რომ პირველადი სტრატეგიული გეგმის მიზნებს ბევრად აჭარბებს მიღწეული შედეგები და არსებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით მრავალი ექსტენციური სერვისი გაზიარებულ იქნა საქართველოს სხვა რეგიონების მიერ.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ექსტენციის სისტემის ინსტიტუციური მოწყობა რამდენიმე თავისებურებით ხასიათდება, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის ორგანიზებაზე. სამინისტროს აქვს საკუთარი ბიუჯეტი და ექსტენციის ორგანიზაცია ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“-ს სახით. მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ შეიძლება საუკეთესო გზით უზრუნველყოფილ იქნას აჭარაში ექსტენციის ეფექტური და ქმედითი სახით განხორციელება, დუბლირების გარეშე და სპეციალური სტატუსის ადმინისტრაციული რეალობის ფარგლებში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისად, ექსტენციის თანამშრომელთა რაოდენობა არ აღემატება 23 კაცს და შესაბამისად, თუ მოვიშველიებთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ყველა კატეგორიის მეურნეობათა რაოდენობა 44 757 შეადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ დაახლოებით ყოველ ექსტენციის თანამშრომელზე 1900-ზე მეტი მცირე მეურნეობა მოდის.

ამასთან, საინფორმაციო-საკონსულტაციო დეპარტამენტს, გარდა ექსტენციისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების შესაბამისად ევალება სხვადასხვა საკითხი, როგორცაა: სტატისტიკური ინფორმაციის მოგროვება, ანალიზი, სამინისტროს პროგრამებისა და ქვეპროგრამების შერჩევაში, შემუშავებაში, განხორციელებასა და კონტროლში აქტიური მონაწილეობა, ადმინისტრაციული ღონისძიებები და მთელი რიგი სხვა ვალდებულებები, რაც საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს და შესაბამისად ექსტენციონისტებს მთელი დროის ნახევარიც კი არ რჩებათ ფერმერთა და აგრომეწარმეთა კონსულტირებისათვის.

უნდა აღნიშნოს რომ განსაკუთრებით რთულია ექსტენციის მიწოდება ისეთი მიმართულებით როგორცაა მემცენარეობა, რომელიც მოითხოვს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მასალების შესახებ პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტების და კომპანიების ჩართულობას. ამჟამად, მემცენარეობის ყველა მიმართულება საჭიროებს ინტენსიურ ექსტენციას, რათა მოხდეს მოსავლიანობის ამაღლება და წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება.

ლიტერატურა

1. ა. ბაღდაძე-ფერმერთა საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება, სახელმძღვანელო, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბ. 2011 წელი; 109 გვ.
2. ;
2004,310 .
3. Chanoch Jacobsen-What is Extension Work; Principles end Methods of Extension Work. Center for International Agricultural Development Cooperation (CINADCO) Ministry of Agriculture, 1993 , 57p.5
4. კ. კოლუაშვილი, ჯ. კაციტაძე, გ. ბერიძე -საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების თავისებურებანი საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში; საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, 2, 2017, გვ.40...43 .
5. .ჯ.კაციტაძე, ი. აბულაძე , გ.ბერიძე-მცირე მექანიზაციის მანქანების რაოდენობა აჭარაში და მათი პროგნოზირება უმცირეს კვადრატთა მეთოდით, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მომბე“, 2(36), თბილისი, 2016, გვ. 85...89.

Agricultural extension in Adjara and its promising directions

Gocha Beridze–

doctoral student of the Georgian Technical University

Abstract

(Internet version)

In order to increase crop yields and to familiarize farmers of modern scientific and shadow progress on a global scale, a consultative information service or extension has recently been widely introduced. It allows farmers and private entrepreneurs to get acquainted with modern labor-intensive technologies for cultivation of agricultural crops, increase yield and profit.

The article presents the features of extension in the Autonomous Republic of Adjara, situational analysis, expansion development in 2013–2016, experience and results, the main directions of development of the advisory and information service in the Adjara region.

5. უწყვეტი სწავლების ღარბაზი Continuous Studying Hall

უძღვება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აკადემიკოსი
ომარ ქეშელაშვილი

ლაქსია 20 ფარამრული მუშრნოზის მენეჯმენტი

20.4. ფარამრული მუშრნოზის რისკის მარტოზა

20.4.1. სამუშრნო რისკის არსი

ფერმერული მუშრნოზები ისე, როგორც სხვა სამეწარმეო სტრუქტურები ვერ ასცდებიან რისკის ფაქტორს. უნდა ითქვას, რომ რისკის გარეშე, საერთოდ ბიზნესი წარმოუდგენელია, მაგრამ ყოველი რისკი რაც მეტად იქნება გათვლილი და დასაბუთებული, მით გარანტირებული იქნება მოგების მიღება.

უკვე გამოიკვეთა, რომ საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი კანონზომიერება მდგომარეობს იმაში, რომ რაც მეტია მოსალოდნელი შემოსავალი, მით მეტია რისკი.

რისკი განიხილება, როგორც თავისუფალი ქმედება, შესაძლო საფრთხე, ნებისმიერ საქმიანობასთან და წარმოებული საქონლის რეალიზაციასთან დაკავშირებული პროცესი, ნაკლები შემოსავალი, დანაკარგები და ა.შ.

რისკი უმეტეს წილად არის პროგნოზი. იგი ალბათური კატეგორიაა—როგორც დანაკარგების (ზარალის) განსაზღვრული დონის აღმოცენების ალბათობა.

„რისკი“ ფრანგული სიტყვაა და საფრთხეს ნიშნავს.

რისკი შეიძლება განისაზღვროს:

აბსოლუტურ გამოხატულებაში—დანაკარგების შესაძლო სიდიდით, მატერიალურ-ნივთობრივ (ფიზიკურ) ან ღირებულებით (ფულად) გამოხატულებაში;

შეფარდებით გამოხატულებაში—როგორც შესაძლო დანაკარგ-
თა სიდიდის შეფარდება ბაზასთან: ქონებრივი მდგომარეობა; რესურსების საერთო დანახარჯები ან მოსალოდნელი შემოსავალი-მოგება.

დანაკარგები შეიძლება დაიყოს:

- ❖ მატერიალურად;
- ❖ შრომითად;
- ❖ ფინანსურად;
- ❖ დროითად.

დანაკარგები ვლინდება აგრეთვე ადამიანის ჯანმრთელობის ან სიცოცხლისადმი, საცხოვრებელ გარემოსადმი, მეწარმის პრესტიჟისადმი ზიანის მიყენებაში, ასევე სხვა არახელსაყრელი სოციალურ-ფსიქოლოგიური და პოლიტიკური შედეგებით.

უსაფრთხოების მიხედვით რისკი შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად:

- ტექნოლოგიური, ბუნებრივი და შერეული (ავარიული მდგომარეობა, გარემოს დაბინძურება და სხვ.);
- სტიქიური;
- ფინანსური და კომერციული;
- პროფესიონალური;
- ინვესტიციური.

რისკის შეფასებისას, ახალი ფერმერული მეურნეობის ექსპლუატაციაში შეყვანის შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი მაჩვენებლები:

- ბაზარზე ან ობიექტზე პროდუქციის მოთხოვნა;
- ბაზარზე ანალოგიურ საქონელთა მიწოდება;
- მომავალ საქონელთა რეალიზაციის საპროგნოზო ფასები;
- საკუთარი პროდუქციის დანახარჯები, კონკურენტების პროდუქციასთან შედარებით;
- პროდუქციის რეალიზაციის ვარაუდები და საბაჟო ბარიერების მხედველობაში მიღება.

გამოყოფენ ე.წ. „გონივრული რისკის“ შემდეგ საზღვრებს:

1. ეკონომიკურს—როგორ არის მზად ფერმერი რისკისათვის, თუკი მის ხელთ არსებული რესურსები შეესაბამება საწარმოს განვითარების მიზნებსა და ამოცანებს. რისკის ზღვარზე მომქმედ ფაქტორებს მიეკუთვნება პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სტაბილურობა, გადახდისუნარიანობა, სწორი აღრიცხვა, მომგებიანობა; მეორეს მხრივ—საიმედო მართვა, ხელმძღვანელის-მენეჯერის ინტუიცია; ამას ემატება სიციალურ- პოლიტიკური სიტუაცია;

2. სამართლებრივ-რისკი აღარ განიხილება როგორც უპასუხისმგებლობა ან დაუდევრობა.

არსებობს ასეთი მიდგომა: შეიძლება ყველაფერი ის, რაც აკრძალული არ არის. ამისათვის კონკრეტული შემზღუდავი წესები არ არის დადგენილი. ამიტომ სამართლებრივი ნორმები რისკზე გავლენას ახდენს მხოლოდ ირიბი ან შეფარდებითი მნიშვნელობით (მაგ: კანონი გაკოტრების შესახებ და სხვ.).

ყველაფრის შეტანა სამართლის ჩარჩოებში, რაც კი რისკს უკავშირდება ძალზე ძნელი და ზოგჯერ უმიზნოც კი, რადგან ბიზნესი შეუვალი და თავისუფალია.

არსებობს რისკის შეფასების შემდეგი მეთოდები:

- თეორიული მიდგომის (ლოგიკური მსჯელობის);
- ემპირიული მიდგომის (ექსტაპოლაციის-არსებული ინფორმაციის ბაზაზე)
- სტატისტიკური ხერხები;
- საექსპერტო მეთოდი (საექსპერტო შეფასების);
- საანგარიშო-ანალიტიკური.

მოქმედების ხასიათის მიხედვით რისკი იყოფა მარტივ და შემადგენელ რისკად. შემადგენელი რისკი არის მარტივ რისკთა კომპოზიცია.

მარტივი რისკის (რომელიც ფერმერის მოქმედების არეში იქნება) შემადგენელ ელემენტებად უნდა ჩაითვალოს:

1. მოსამზადებელი სტადია (მისი სახეები: სატრანსპორტო კვანძებიდან დაშორება; ადგილობრივ მმართველობასთან დამოკიდებულება და სხვ.);

2. ფორმირების სტადია (მისი სახეებია: შემკვეთის გადახდილ-სუნარიანობა; გაუთვალისწინებელი დანახარჯები: ინფლაციის, საპროექტო დავალების ხარვეზიანობის და სხვათა გამო და ა.შ.);

3. ფუნქციონირების სტადია

3.1. საფინანსო-ეკონომიკური რისკი (მისი სახეებია: მოთხოვნილების არამდგრადობა; ალტერნატიული საქონლის გამოჩენა; კონკურენტების მიერ ფასების შემცირება; გადასახადების ზრდა; მომხმარებელთა დაბალი გადახდისუნარიანობა; ნედლეულზე ფასების ზრდა; საბრუნავ საშუალებათა არასაკმარისობა და სხვ.);

3.2. სოციალური რისკი (მისი სახეებია: კვალიფიციური სამუშაო ძალის შერჩევის სიძნელე; შრომის ანაზღაურების დაბალი დონე; კადრების კვალიფიკაცია; სოციალური ინფრასტრუქტურა და ა.შ.);

3.3. ტექნიკური და ტექნოლოგიური რისკი (მისი სახეებია: მანქანა-მოწყობილობების ცვეთა; ნედლეულისა და მასალების ხარისხის არასტაბილურობა; ტექნოლოგიის სიახლეები; ტექნოლოგიის არასასურველი საიმედოობა; მოცულობების მარაგის არ არსებობა და ა.შ.);

3.4. ეკოლოგიური რისკი (მისი სახეებია: ატმოსფეროს, ნიადაგის, წყლის დაბინძურება; წარმოების მავნეობა; ანარჩევები და სხვ.).

20.4.2. სამეურნეო რისკის მართვა (რისკ-მენეჯმენტი)

რისკის შემცირება ნიშნავს ან ზარალის შემცირების შესაძლებლობას ან არაკეთილმყოფელი მდგომარეობის დადგომის ალბათობის შემცირების შესაძლებლობას.

რისკზე მომქმედი ყველა ფაქტორი იყოფა სამ ჯგუფად:

1. შემცირება; 2. შენარჩუნება; 3. რისკის გადაცემა.

ალბათური ბუნების მიუხედავად, რისკს მართვა სჭირდება და ხშირ შემთხვევაში იგი მართლაც წარმატებით იმართება.

მართვის პირველი სტადიაა სავარაუდო „რისკის გამოვლენა“ - იგი გულისხმობს: ა) ობიექტების მიხედვით ინფორმაციის შეგროვებას და ბ) საშიშროებისა და ინცინდენტის გამოვლენას.

ინფორმაციის მოპოვების მეთოდებია:

- გამოკითხვა;
- სამმართველო და საფინანსო ანგარიშების ძირითადი დოკუმენტების ანალიზი;
- კვარტალური და წლიური საფინანსო მონაცემების ანალიზი;
- საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურის ანალიზი;
- ტექნიკურ საკითხებში სპეციალისტების კონსულტაცია და სხვ.

ცხადია ეს მიდგომა არასრულყოფილია და კიდევ მოითხოვს დახვეწას. კონკრეტულ შემთხვევებში გამოყენებული უნდა იქნას მორგებული მიდგომები და ვარიაციები, რადგანაც რისკის შეფასება ძალზე სპეციფიურ და დიფერენცირებულ მიდგომას საჭიროებს.

რისკის მართვა მოითხოვს:

- სამუშაო პროგრამისა და მეთოდის შედგენას;
- რისკის შეფასებასა და ანალიზს;
- შემცირების ან ლიკვიდაციის ღონისძიებების დასახვასა და განხორციელებას;
- რისკის მართვის რგოლის ჩამოყალიბებას;
- რისკის პროგნოზირებას.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ცალკე მეცნიერებად ჩამოყალიბდა „რისკ-მენეჯმენტი“. მისი მეთოდები, პრინციპები, წესები და ხერხები თანდათან იხვეწება და სრულყოფილი ხდება. ეს სფერო მჭიდროდ უკავშირდება წარმოების მოდელირებასა და პროგნოზირებას, სტატისტიკის ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენებას, მენეჯმენტს, მარკეტინგს, ფინანსებსა და კრედიტს, დაზღვევას.

თუ განვიხილავთ სამეურნეო რისკის საკითხს, საქართველოს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით.

უნდა ითქვას შემდეგი: საქართველოს სოფლის მეურნეობა საკმაოდ რთული სამართავი ობიექტია, რაც უწინარეს ყოვლისა, განპირობებულია მის მცირემიწიან სივრცეში არსებული უაღრესად მრავალფეროვანი ნიადაგურ-კლიმატური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც მკვეთრად და რადიკალურად განსხვავდება ზონალურ და რაიონულ მასშტაბში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესში სამეურნეო რისკის მიხედვით თითოეული ფერმერული მეურნეობისათვის შეიძლება დადგინდეს, თუ როდის და რა მასშტაბით უნდა გავწიოთ რისკი ეკონომიკური დაბანდებისათვის, ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურის, დარგისა თუ მიმართულების განვითარების თვალსაზრისით. ამის შესაბამისად, ამა თუ იმ სპეციალიზაციის პირობებში, როგორ, რა დონით, რა მასშტაბით, როგორი შეთანაწყობითა და თანმიმდევრობით, როგორი ინტენსივობით უნდა გამოვიყენოთ წარმოების რეალურად არსებული პირობები, ეკონომიკურ-ორგანიზაციული ბერკეტები, რათა მივიღოთ გარანტირებული მოგება, საბაზრო სეგმენტების სწორი გაჯერებისა და ათვისების, აგრეთვე საექსპორტო-საიმპორტო გამართლებული ურთიერთობების ჩამოყალიბების გზით.

რისკის თეორიის პრაქტიკული რეალიზაცია ეკონომიკაში გაპირობებულია იმ დიდი გარდატეხით, რაც უკანასკნელ ხანს მოხდა ამ სფეროში. ახლა უკვე ეჭვს აღარ იწვევს და აშკარად გამოიკვეთა, რომ მრავალი წლის განმავლობაში ეკონომიკაში დამკვიდრებული ნაციონალურ-ლიბერალური თეორია დამსხვრეულია და შემოღებულია დიამეტრალურად ახალი, რომელიც უკავშირდება ეკონომიკაში თავისუფალი არჩევანის პრობლემას (დამუშავებულია როგორც საქმიანობის არჩევანის, ისე საქონლის შექმნის არჩევანის მეთოდოლოგიები). ამ თეორიის პრაქტიკული რეალიზაციით შესაძლებელი ხდება ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბება ეროვნული, კულტურული და სხვა თავისებურებების გათვალისწინებით.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში სამეურნეო რისკის თეორიისა და შესაბამისად მისი შეფასების მეთოდის პრაქტიკული გამოყენების პრეცედენტი არ გაგვჩნდა. მან, 2005 წლის შემდგომ პერიოდში მოიკიდა ფეხი (საფუძველი ჩაუყარა აკად. ოქემელაშვილმა) და უახლოეს წლებში ფართო მასშტაბით უნდა განვითარდეს. ეკონომიკურ გამოკვლევებში მან პრიორიტეტული ადგილი უნდა დაიკავოს.

რისკის განსაზღვრაზე მომქმედი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებიდან მეცნიერები გამოყოფენ ფსიქოლოგიურ მომენტს – გადაწყვეტილების მიმღები, იმისდაგვარად თუ როგორი ტიპისაა იგი – აზარტული, ფრთხილი თუ ნეიტრალური, ბუნებრივია, განსხვავებულ სარისკო გადაწყვეტილებას მიიღებს. თუმცა, რისკის შეფასების მეთოდოლოგია იმიტომ არსებობს, რომ მინიმუმამდე შემცირდეს მასზე ფსიქოლოგიური გავლენა და მიღებულ იქნას მეცნიერულად დასაბუთებული გადაწყვეტილებები.

სამეურნეო რისკის შეფასებისას დამაჯერებლობისათვის, მეცნიერებს გააჩნიათ ისეთი უტყუარი საშუალებები, როგორც კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი და წარმოების ოპტიმიზაციის ამოცანა.

კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი, რამაც ფართო გამოყენება ჰპოვა ეკონომიკაში დიდ დახმარებას გვიწევს იმისათვის, რომ დადგინდეს მოვლენაზე მომქმედი სხვადასხვა ფაქტორის გავლენის ხვედრითი წილი და მისი ცვლილების შედეგები. ამ მასალებზე დაყრდნობით, აგებული წარმოების ოპტიმიზაციის მოდელის კომპიუტერული რეალიზაცია კი გვაძლევს იმ შეზღუდვებს, პარამეტრებს, მახასიათებლებსა და პირობებს, რომელთა გამოყენებითაც მიღწეული უნდა იქნეს ის შედეგები, რითაც დასტურდება, რომ გაწეული სამეურნეო რისკი, გარკვეულ ეტაპზე, გამართლებული იყოს ამა თუ იმ დონით. ამასთან, წარმოების პროცესში აკუმულირებულია ის კონკრეტული შესაძლებლობები, რომელთა ამოქმედებაც პერსპექტივაში ხელს შეუწყობს საბოლოო შედეგების ამა თუ იმ პროპორციით გაუმჯობესებას.

ფერმერულმა მეურნეობებმა ამისათვის უნდა მიმართონ სპეციალისტებს.

რისკის მართვა (რომელიც გამოიყენება მართვის პროცესში შემოსავლის ზრდის შემცირების წინააღმდეგ) ეფუძნება: რისკისაგან თავის არიდებას, რისკის საკუთარ თავზე აღებას, რისკის დაზღვევას, რისკის მესამე პირზე გადაცემას და სხვადასხვა ხერხით დანაკარგების შემცირებას.

რისკისაგან დაცვისა და შემცირების ყველაზე ფართოდ გამოყენებული და ეფექტური მეთოდებია: დაზღვევა, რეზერვირება ანუ თვითდაზღვევა, დივერსიფიკაცია და ლიმიტირება.

დაზღვევა წარმოადგენს რისკის შემცირების ყველაზე გავრცელებულ ფორმას და მისი არსი მდგომარეობს რისკის სხვაზე გადაცემაში (პასუხისმგებლობის ნეგატიური შედეგების გამო) გარკვეული გასამრჯელოს ფასად, ე.ი. ზარალის დაზღვევის მონაწი-

ლეთა შორის განაწილებაში. სამეურნეო რისკის დაზღვევის სისტემაში უპირატესობა ენიჭება ქონებრივ და პასუხისმგებლობის დაზღვევას. ქონებრივი დაზღვევის ობიექტს შეიძლება წარმოადგენდეს როგორც ქონება სხვადასხვა სახით (ნაგებობა, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალება, ნედლეული, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, პროდუქცია და ა.შ.), ასევე ქონებრივი ინტერესები. ამ უკანასკნელის სპეციფიკურ ფორმას კი წარმოადგენს ჰეჯირება.

ჰეჯირება საშუალებას იძლევა გამოირიცხოს ან შეიზღუდოს ფინანსური ოპერაციის რისკი მომავალში ვალუტის კურსის, საქონელზე ფასების, პროცენტული განაკვეთის და ა.შ. არასასიკეთოდ ცვლილების გამო. ჰეჯირება ითვალისწინებს მზღვეველის უფლებას, გარკვეულ თანხად იყიდოს, წინასწარ დათქმული რაოდენობის ვალუტა (ფიქსირებული კურსით, შეთანხმებულ ვადებში).

ჰეჯირება, რომელიც თავისი არსით, რისკის სხვა პირზე გადაცემას წარმოადგენს, დაზღვევის ტრადიციული ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს ყოველთვის სადაზღვევო შენატანების გადახდას.

რისკის დაზღვევასთან ერთად გამოიყენება მისი ისეთი ნაირსახეობა, როგორიცაა—გადაზღვევა. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: მზღვეველი (სადაზღვევო კომპანია) საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებლობას დაზღვევის მთლიან თანხაზე (რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს ძვირადღირებულ რისკთან), მაგრამ ის თავის მხრივ მიმართავს სხვა სადაზღვევო კომპანიას და გადასცემს მას პასუხისმგებლობას რისკის გარკვეულ ნაწილზე.

რეზერვირება—მას ზოგჯერ თვითდაზღვევასაც უწოდებენ, რომლის დროსაც საწარმო ქმნის სპეციალურ ფონდებს (ძირითადად მოგებიდან) ბრუნვითი საშუალებების ნაწილის ხარჯზე და მის შესაქმნელად გაღებული ხარჯები შედის პროდუქციის თვითღირებულებაში.

რისკის შემცირების ასეთი მეთოდისას, რეზერვირებული ხარჯები, სადაზღვევო შენატანზე ნაკლებია.

რეზერვირება წარმოადგენს სარეზერვო (სადაზღვევო) ფონდის შექმნის დეცენტრალიზებულ ფორმას მეურნე სუბიექტში, სწორედ ამიტომ უწოდებენ დანაკარგის დაფარვაზე საშუალებების რეზერვირებას—თვითდაზღვევას.

დანიშნულების მიხედვით სარეზერვო ფონდები იქმნება ნატურალური და ფულადი ფორმით.

ასე მაგალითად, ფერმერები და სოფლის მეურნეობის სხვა სუბიექტები, არახელსაყრელი ბუნებრივი და კლიმატური პირობებით

გამოწვეული დანაკარგების აღმოფხვრისა და ანაზღაურებისათვის ქმნიან ნატურალურ სარეზერვო ფონდებს: სათესლე, საფურაჟე და სხვ.

სარეზერვო ფულადი ფონდი იქმნება გაუთვალისწინებელი ხარჯების წარმოშობისას (რომელიც გამოწვეულია ტარიფებისა და ფასის ცვლილებით, სარჩელის გადახდით და ა.შ.), კრედიტორული დავალიანების დაფარვის აუცილებლობისას, მეურნე სუბიექტის ლიკვიდაციისას და ა.შ. ხარჯების დაფარვისათვის.

ნატურალური და ფულადი რეზერვებისათვის აუცილებელია ოპტიმალური მარაგის განსაზღვრა. მაგრამ ასეთი გათვლები, როგორც წესი, ხდება დაგეგმილი რისკის შემთხვევაში (როცა ცნობილია წარმოშობის ალბათობა და შესაძლო დანაკარგების სიდიდე).

თუ დანაკარგებმა გადააჭარბა დაგროვილ რეზერვს (როცა რისკი დაუგეგმავია), მაშინ საწარმო იძულებულია მათი კომპენსაციისათვის დამატებითი სახსრები გამოიხაროს. ამიტომ, თვითდაზღვევისას აუცილებელია რისკის გამოვლენისა და შეფასების პირველადი სამუშაოების დიდი გულისყურით შესრულება, რისკისაგან დასაცავად ალტერნატიული ვარიანტების გამოყენება: ფინანსების განაწილება, რისკის შემცირება და გადაცემა. ყოველივე აღნიშნული, თავის მხრივ, ზრდის რისკ-მენეჯერთა, ექსპერტთა, იურისტთა და სხვათა შენახვაზე გაწეულ ადმინისტრაციულ ხარჯებს.

დივერსიფიკაციით ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ობიექტებს შორის ინვესტიციების განაწილება ხდება.

დივერსიფიკაციის მაგალითია თავისუფალი ფულადი საშუალებების სხვადასხვა ბანკში შენახვა.

აღნიშნულმა მეთოდმა, ბოლო პერიოდში გამოყენების ფართო წრე შეიძინა.

დივერსიფიკაციის მაგალითს წარმოადგენს სადაზღვევო სფეროს გაფართოება. მაგალითად, მცირე სივრცეზე მოსავლის დაზღვევამ (სეტყვის და სხვ. შემთხვევაში), შეიძლება გამოიწვიოს დიდი სადაზღვევო თანხის გადახდა. ამიტომ, სადაზღვევო ველის ზრდა, ამცირებს სადაზღვევო გადასახადის ერთდროულად გადახდის ალბათობას.

დივერსიფიკაცია არასისტემური რისკის შემცირების ხერხია, ამიტომ მისი საშუალებით შეუძლებელია საერთო ეკონომიკური მდგომარეობით გამოწვეული სისტემატიური რისკის შემცირება.

ლიმიტირება არის შეზღუდვის სისტემის გარკვეული წესები, რომლებიც ხელს უწყობს რისკის ხარისხის შემცირებას.

სამეწარმეო საქმიანობაში ლიმიტირება გამოიყენება კაპიტალდაბანდების განსაზღვრისას, საქონლის კრედიტში გაყიდვისას,

სესხის გაცემისას და სხვა. უპირველესად ეს მიეკუთვნება ფულადი საშუალებების (ხარჯების, კრედიტების, ინვესტიციის) ზღვრული ღონის დადგენას. მაგალითად, ერთ მსესხებელზე გაცემული კრედიტის შეზღუდვით შესაძლებელია დანაკარგების შემცირება ვალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში.

რისკის მინიმიზაციის განხილული მეთოდებიდან კონკრეტულის არჩევა დამოკიდებულია როგორც მეწარმის, ასევე რისკ-მენეჯერის გამოცდილებასა და შესაძლებლობებზე.

სამეწარმეო საქმიანობაში ადგილი აქვს სხვადასხვა რისკის წარმოშობის პროცესს, ამიტომ, მათ შესამცირებლად, აღნიშნული ძირითადი მეთოდების გარდა, არსებობს უფრო კონკრეტული, მხოლოდ მოცემული შემთხვევებისათვის გამოსაყენებელი მეთოდები. ფერმერმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ზოგჯერ, რადიკალური ზომების მიღებამდე, უფრო ეფექტურია ლოკალური, სპეციფიკური მეთოდების გამოყენება.

რისკის მართვის თვალსაზრისით სარეკომენდაციოა შემდეგი მოსაზრებები და პრინციპები:

1. შეგუების უნარი. უნდა მოხდეს კორექტირება რისკზე უარყოფითი მოქმედებების შესამცირებლად. ასეთი ღონისძიებები მართალია დამატებით დანახარჯებს უკავშირდება, მაგრამ იგი უნდა შეფასდეს სარგებლობის მოტანის თვალსაზრისით.

შეგუების მაგალითია უნივერსალური ტექნიკური საშუალებები, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას სხვადასხვა კულტურაში, სხვადასხვა ოპერაციის შესასრულებლად.

კორექტირების კარგი მაგალითია მარცვლეულის წარმოება პირუტყვის გასასუქებლად. ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად მარცვლეულზე მაღალი ფასების შემთხვევაში ფერმერი ზრდის მის წარმოებას, ხოლო თუ გაიზარდა პირუტყვზე ფასი, მაშინ მისი საძოვრული შენახვის ვადებს ახანგრძლივებს. მართალია, ამას ეწირება მარცვლის მოსავლის გარკვეული ნაწილი, მაგრამ ფერმერი ამას აკეთებს საკუთარი შემოსავლების გასაზრდელად.

2. რისკის პირობებში მეურნეობათა სპეციალიზაცია (დარგობრივი სტრუქტურა) განაპირობებს ისეთი დარგების შერჩევას, რომლებიც ხასიათდებიან შემოსავლების სტაბილური ღონით. ეს შესაძლებელი უნდა იყოს ბუნებრივ პირობებთან.

3. სამეურნეო რისკის მიმართ სიფრთხილის ღონისძიებაა დივერსიფიკაცია, როდესაც ფასებისა და მოსავლიანობის ცვლის ამპლიტუდა არ ემთხვევა ერთმანეთს. ამ შემთხვევაში სტაბილური მოგების მიღების გარანტიაა რამდენიმე დარგის შეთანაწყობა. როდესაც

რომელიმე სახის პროდუქტზე ფასები მცირდება, დანაკარგები კომპენსირდება სხვა სახის პროდუქტზე ფასების მომატებით.

გასათვალისწინებელია დივერსიფიკაციის უარყოფითი მხარეც. კერძოდ ის, რომ დარგების ძლიერი დანაწილება ზოგჯერ ამცირებს წარმოების ეფექტიანობას.

4. რისკის შემცირების თანამედროვე მეთოდებიდან და მიდგომებიდან საყურადღებოა ხელშეკრულებების წინასწარ გაფორმება. მოსავლის აღებამდე ფერმერი აფორმებს ხელშეკრულებას გარკვეული რაოდენობის პროდუქციის განსაზღვრულ (სახელშეკრულებო) ფასში მიყიდვის შესახებ. ეს თავიდან აცილებს მას ფასების არასასურველი ცვლილებების გავლენას. ამასთან, მეორეს მხრივ, იგი კარგავს შანსს მიიღოს შესაძლო უფრო მაღალი მოგება.

5. რისკის შემცირება შეიძლება გარიგების განაწილებითაც დროის მიხედვით. მაგ., ფერმერი ყოველთვიურად პარტნიორს უხდის მთლიანი მოსავლის ერთ მეთორმეტედს.

6. რისკი გავლენას ახდენს ფინანსურ მართვაზე, ამიტომ, ფერმერები ხშირად ინახავენ ფონდების გარკვეულ ნაწილს ლიკვიდურ ფორმებში. ლიკვიდურობა გულისხმობს ფონდების უსწრაფეს გადაყვანას ნაღდ ფულში. ლიკვიდურ ფორმებს მიეკუთვნება: ობლიგაციები, მოსავლისა და პირუტყვის მარაგები, ნაღდი ფულადი საშუალებები.

7. რისკის შემცირების ერთ-ერთი ფაქტორია სამეწარმეო ინფორმაციის შეგროვება.

8. რისკის მართვის კარგი საშუალებაა დაზღვევა (ამის შესახებ ზემოთაც ითქვა), რომელიც ამ მიზნით ფართოდ გამოიყენება მთელ მსოფლიოში. ფერმერისათვის ხელმისაწვდომია დაზღვევის სხვადასხვა სახე: ქონების დაზღვევა; სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა (დაუდევრობის შედეგად სამეურნეო ოპერაციებიდან მიღებული ზარალი; ქონების ან მომუშავე პირთა დაზიანება, საწარმოო ტრამპები, უბედური შემთხვევები და სხვ.); სასოფლო-სამეურნეო კულტურათა და პირუტყვის დაზღვევა (ისეთი ბუნებრივი პირობებისაგან, როგორცაა სეტყვა, გვალვა, წყალდიდობა, პირუტყვის მასიური დაავადებების გავრცელება და სხვ.).

20.4.3. ალტერნატიული გადაწყვეტილების მიღება რისკის პირობებში

როგორც ითქვა, სამეურნეო რისკის განსაზღვრა სპეციფიკური გაანგარიშებების ჩატარებას მოითხოვს.

ცხადია, ფერმერული მეურნეობის მენეჯერს (მმართველს) და მის წევრებს გაუძნელებათ არსებული მეთოდიკების სრულად გამოყენება, ეს სპეციალისტების დახმარებით უნდა შესრულდეს.

მიუხედავად ამისა, ფერმერმა უნდა იცოდეს ის მინიმუმი მაინც, რაც დაკავშირებულია სამეურნეო რისკთან და რომელსაც ვერსად ვერ გაექცევა. ფერმერი ყოველთვის დგას გარკვეული რისკის წინაშე.

ვიძლევიტ რისკის მიმართ ფერმერებისათვის ადვილად გასაგები მიდგომის კონკრეტულ მაგალითებს, რომელიც საშუალებას მისცემს მათ ჩასწვდნენ სამეურნეო რისკის ხასიათს (შინაარსს), გაანალიზონ იგი და ე.წ. პირად ალბათობაზე დაყრდნობით მიიღონ ალტერნატიული გადაწყვეტილებები. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სამეურნეო რისკის ფაქტორების სიმრავლე ართულებს წარმოების პროცესს.

მაგალითისათვის განვიხილოთ შემთხვევა (ი. ახალბედაშვილის მიხედვით), როდესაც ფერმერი ეძებს წარმოებული მარცვლის რეალიზაციისათვის საუკეთესო ვარიანტს.

ფერმერმა მარცვლის მოსავალი მთლიანად აიღო 1 ოქტომბრისათვის, ბანკის სესხის დაფარვისათვის მან ეს მოსავალი უნდა გაყიდოს მომავალი წლის თებერვლამდე (4 თვის განმავლობაში).

მას შეუძლია ეს პროდუქცია ან მაშინვე გაყიდოს ანდა შეინახოს საწყობში 1 თებერვლამდე.

I სახის ალტერნატიული ვარიანტი: პროდუქცია ინახება საწყობში და 1 თებერვლისათვის მისი რეალიზაციით მიღებული შემოსავლის სავარაუდო სიდიდეა:

ა₁ – 50000 ლარი (მაღალი ფასის პირობებში), ალბათობა შეადგენს 0.2.

ა₂ – შედარებით რეალური ფასის პირობებში უდრის 30000 ლარს, ალბათობა-0.5.

ა₃ – დაბალი ფასებით უდრის 15000 ლარს, ალბათობა-0.3.

ფერმერის მიერ ჩატარებული გათვლებით ყველაზე რეალურია 30000 ლარი, მაგრამ, იგი ბაზრის ანალიზის საფუძველზე პირადი (საკუთარი) ინტუიციითა და გამოცდილებით განსაზღვრავს მოცემულ ვარიანტთა ალბათობას და იღებს სავარაუდო გადაწყვეტილებას.

ანალოგიურად შეიძლება მან გამოიკვლიოს სხვა ალტერნატივაც, კერძოდ, **II სახის ალტერნატიული ვარიანტი**: ფერმერმა იცის რა პროდუქციის ფასი, ხორბლის მაშინვე (1 ოქტომბერს) გაყიდვის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი იქნება 25000 ლარი, ალბათობა ტოლია 1.0.

ფერმერს შეუძლია გაიანგარიშოს I ალტერნატიული ვარიანტის საშუალო შეწონილი სიდიდე შემდეგნაირად:

$$a_1 - 50\ 000 \cdot 0.2 = 10\ 000 \text{ ლარი;}$$

$$a_2 - 30\ 000 \cdot 0.5 = 15\ 000 \text{ ლარი;}$$

$$a_3 - 15\ 000 \cdot 0.3 = 4\ 500 \text{ ლარი.}$$

საშუალო შეწონილი უდრის 29 500 ლარს.

მეორე ალტერნატივისათვის ეს სიდიდე უდრის 25 000 ლარს.

როგორც ჩანს, შედარებით მომგებიანი პირველი ალტერნატივაა, მაგრამ თანაფარდობისას 3:1 არჩევანი შეიძლება არ იყოს საუკეთესო და არ არის გამორიცხული, რომ ფერმერმა, რომელმაც დაიტოვა მარცვალი შესანახად, იზარალებს 10 000 ლარით.

მოცემულ სიტუაციაში შეუძლებელია ერთგვაროვანი რეკომენდაციის მიცემა, რადგანაც რისკზე წასვლის მზადყოფნა სხვადასხვა ადამიანში სხვადასხვანაირია.

ჩვენს მაგალითში ფერმერმა უნდა გადაწყვიტოს დაკარგოს 4500 ლარი (საშუალო შეწონილი სიდიდის გაანგარიშებით 29 500 – 25 000), რათა თავი დააღწიოს შესაძლო 10 000 ლარის ზარალს (a_1 -ის მიხედვით: $50\ 000 \cdot 0.2$), მაგრამ თუ გადაწყვიტა, რომ მარცვალი გაყიდოს მაშინვე, მან უარი უნდა თქვას 50 000 ლარიან შესაძლო მოგებაზე და დასჯერდეს 25 000 ლარს.

დასტურდება, რომ სამეურნეო რისკი დაკავშირებულია ალბათობის ფაქტორთან. ალბათობა არის ამა თუ იმ მოვლენის დადგომის რაოდენობრივი მაჩვენებელი. ალბათობა აღინიშნება რიცხვით 0-დან 1-მდე. 0 ნიშნავს მოვლენის მოხდენის შესაძლებლობას, ხოლო 1 კი – მისი მოხდენის გარდუვალობას.

ფერმერულ მეურნეობაში ალბათობა ძირითადად ეფუძნება ფერმერის პირად რწმენას და იწოდება პირად ალბათობად. მისი შეფასებისას იგი ეყრდნობა საკუთარ გამოცდილებას, ინტუიციას, ჭვრეტის უნარსა და ალღოს. ამაში მას ეხმარება ინფორმაცია, ფაქტობრივი მაჩვენებლები, არსებული ნორმატივები და ა.შ.

6. ტერმინები Terms

ომარ ქეშელაშვილი-
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

6.1. ინსტიტუციონალური სისტემა

მაინც რა არის ინსტიტუციონალური სისტემა. სიტყვა ინსტიტუტებს მიაკუთვნებენ არა მხოლოდ ეკონომიკურ წესებს, არამედ ეკონომიკურ ორგანიზაციებსაც. მასში შედის საკუთრების ურთიერთობათა ცვლილება (პრივატიზაცია-საზოგადოებრივიდან კერძოში გადასვლა); ახალი ეკონომიკური სუბიექტების აღმოცენება (კომერციული ბანკები, სასაქონლო და საფონდო ბირჟები, საინვესტიციო ფონდები); მცირე საწარმოთა (ახალ სტრუქტურათა) აღმოცენება და განვითარება და სხვ.

თანამედროვე განმარტებით ინსტიტუციონალური პოლიტიკა (ლათ. „დადგენა“, „დაწესება“) არის სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები ახლის ჩამოყალიბების, ძველის უარყოფის ან არსებული საკუთრებითი, შრომითი, ფინანსური, სოციალური და სხვა ეკონომიკური ინსტიტუტების ტრანსფორმაციისათვის.

ინსტიტუციონალურ სისტემას მიეკუთვნება სამეცნიერო-ტექნიკური, ფინანსური, ინვესტიციური, სოციალური და მართვის ფაქტორების გაუმჯობესება.

6.2. ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემო

თანამედროვე პირობებში, წარმოების სფერო და მისი ციკლური სისტემა სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული და დაკავშირებული შესაბამის ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ გარემოზე.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზეგავლენითა და საბაზრო ურთიერთობათა დინამიური განვითარების შედეგად ეკონომიკურ-ტექნოლოგიურმა გარემომ ახალი, გლობალიზაციის მოთხოვნების შესაბამისი შინაარსი და ამასთან, მიზნობრივი მოტივაციები შეიძინა, თვალსაჩინო გახდა ასევე მისი ახალი მოდიფიკაციები, შემადგენელი ელემენტები და კრიტერიუმები.

დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ამჟამად, ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ გარემოს სწორი გააზრების, შეფასებისა და მართვის გარეშე მიუღწეველი დარჩება ეკონომიკური ზრდის ის მასშტაბები და ტემპები რასაც სახელმწიფოებრივი პოლიტიკური მოთხოვნები და ინტერესები აყალიბებს და გვავალდებულებს.

ამრიგად, ნებისმიერი საწარმოო პროცესის (ქვეყნისა თუ რეგიონის დონეზე) ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ გარემოსადმი მორგებულობა და ლოგიკურად, ამ გარემოს ინტეგრირებული სისტემის მართვა XXI საუკუნის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია და იგი უნდა მივიჩნიოთ ახალ მიმართულებად ეკონომიკასა და ბიზნესში.

ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ გარემოს განმასხვავებელი ნიშნები და თავისებურებები ახასიათებს საწარმოო სისტემის თითოეული სფეროს მიხედვით. ეს განსაკუთრებით ვლინდება და საკმაოდ მოდიფიცირებულია სოფლის მეურნეობაში,

როგორ უნდა გავიგოთ სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემო?

ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ გარემო ეს არის დროისა და სივრცის ის სისტემა, რომელიც ეფუძნება მიწის, ბუნებრივი (წყალი, სითბო, სინათლე), ფლორისა და ფაუნის, საწარმოო (კაპიტალი, შრომა), მატერიალური (ფულადი) და ინფორმაციული რესურსების ოპტიმიზირებულ-შეწონასწორებული და მიზნობრივ-კომპლექსური გამოყენებისა და მართვის ინტეგრირებულ კომპლექსს.

უნდა ითქვას, რომ სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს განმარტება ჩვენს მეცნიერებას დღემდე არ გააჩნდა. ამდენად, ზემოთ მოცემული ფორმულირება ორიგინალურია და მასში სისტემურად არის გააზრებულ-დანახული ამ გარემოს შინაარსობრივი და ფუნქციონური დატვირთვა.

6.3. ეკონომიკური ტექნოლოგია

ახლა უკვე მიჩნეულია, რომ ტერმინი „ტექნოლოგია“ დიდი ხანია გასცდა ვიწრო ჩარჩოებს და ახალი, ტევადი, ფართო და მასშტაბურგანზომილებიანი შინაარსი შეიძინა. „ტექნოლოგიამ“ შეიწოვა, შეივსო და შეითანაწყო მთელი რიგი დარგობრივ-სისტემური სფეროები, რის ბაზაზეც მტიცედ დამკვიდრდა ახალი შინაარსობრივი სიტყვათწყოები: სამრეწველო ტექნოლოგიები, ეკოლოგიური ტექნოლოგიები, სპორტული ტექნოლოგიები, ლინგვისტური ტექნოლოგიები, ფილოსოფიის ტექნოლოგიები, ჟურნალისტური ტექნოლოგიები, ადამიანზე ზეგავლენის მოხდენის ტექნოლოგიები (პიარი) და სხვა. აგრეთვე, რაც მეტად საყურადღებო და ნიშანდობლივია, მთელი ინფორმაციული (მ.შ. გამოთვლითი) ციკლი, პროცესი და კომპიუტერული შესაძლებლობები, რომელიც წარმოსდგა ინფორმაციული ტექნოლოგიების სახით.

ინფორმაციული ტექნოლოგიები საკმაოდ მრავლისმომცველია და აერთიანებს კომპიუტერების შექმნისა და ფუნქციონირების მთელ სისტემას:

1. პროგრამირებასა და პროგრამულ უზრუნველყოფას;
2. ქსელურ ადმინისტრირებას—ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და გადაცემა-გავრცელების ინდუსტრია (ინტერნეტი, ელექტრო ფოსტა), საამისო ინფრასტრუქტურა და კომუნიკაციები;
3. სისტემურ ადმინისტრირებას—ავტომატიზებული სისტემები, მონაცემთა ბანკები;
4. აპარატურის ინჟინირინგს—ახალი აპარატურის სისტემების შექმნა, ტექნიკური უზრუნველყოფა და სხვა.

აქ უნდა განვმარტო, რომ ადამიანის მიერ გაწეული ნებისმიერი საქმიანობა (მოქმედება), რომელიც ერთიანი კომპლექსის ცალკეულ ელემენტს მოიცავს და სრულყოფას განიცდის, ახალი დროის ახლებური აზროვნების შესაბამისად გაიგება ტექნოლოგიად.

ამ ფორმულირების შემდეგ, ლოგიკურად დგება საკითხი იმის შესახებ, რომ შემოვიტანოთ ახალი მეცნიერული კატეგორია: ეკონომიკური ტექნოლოგიები.

როგორც ჩანს, ფართო გაგებითა და თანამედროვე მეცნიერული ინტერპრეტაციით „ეკონომიკა“ თანდათან წარმოსდგა (ჩაჯდა) იმ საერთო სისტემაში რომელსაც აერთიანებს ტექნოლოგიური ციკლი. ამიტომაც, ისევე, როგორც ინფორმაციული და სხვა ტექნოლოგიები,

ეკონომიკაც უნდა წარმოვიდგინოთ ტექნოლოგიურ ციკლად და პროცესად.

მართლაცაა, ბუნებრივი რესურსების (პოტენციალის) გამოყენება ხომ მთელი ტექნოლოგიური კომპლექსია, ასევე, საწარმოო რესურსების (პოტენციალის) გამოყენებაც ხომ ტექნოლოგიურ არსენალს ეყრდნობა. სპეციფიკური ტექნოლოგიური ციკლებია აგრეთვე წარმოების სპეციალიზაცია (რეგიონული განფენა), ინტეგრაცია და კოოპერირება, მენეჯმენტი, წარმოების ოპტიმიზაცია და რაციონალიზაცია, ინსტიტუციური მექანიზმი, რისკის მართვა, გადაწყვეტილებების მიღება, მიზნის ფუნქციის დასახვა, პროგნოზირება და სხვა.

მეცნიერები უკვე ხმარობენ სიტყვათწყობებს: მართვის ტექნოლოგია, ბაზრის და საბაზრო სემენტაციის ტექნოლოგია, ბიზნესის ტექნოლოგია (უკავშირდება დიდ თამაშებს ბიზნესში), სტრატეგიის ტექნოლოგია, საბანკო ტექნოლოგია, თამაშთა თეორია და გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგია და სხვა მისთანანი.

ახლა, მეცნიერული აზროვნების განვითარებისდაკვალად, ლოგიკური პრინციპები და მოტივაციები უფლებას მაძლევს ერთმნიშვნელოვნად და პრინციპულად აღვნიშნო, რომ ეკონომიკურმა ტექნოლოგიებმა უნდა მოიცვას და შეითავსოს კიდევ ერთი ახალი ინდიკატორი (ელემენტი, პოზიცია), რომელიც კვალიფიცირდება თამაშთა თეორიად და გადაწყვეტილების მიღებად.

ამასთან, რადგანაც თამაშთა თეორიას და გადაწყვეტილების მიღებას განვიხილავთ ეკონომიკური ტექნოლოგიის შემადგენელ ნაწილად, უფრო მართებულია ჩამოყალიბდეს ასეთი შინაარსობრივი დაკავშირება: თამაშთა თეორია, გადაწყვეტილების მიღება და ეკონომიკური ქცევა, რამეთუ ეკონომიკაში ყოველგვარი გადაწყვეტილების მიღებას გარკვეული ეკონომიკური მიზნებისათვის, გარკვეული ეკონომიკური მოტივაციების პირობებში და მოთხოვნებით, როგორც წესი უნდა შეეფარდოს, უნდა შეეთანაწყოს და მოერგოს შესაბამისი ეკონომიკური ქცევა, ანუ შესაბამისი ეკონომიკურ-ორგანიზაციული ბერკეტების, ხერხების, მეთოდებისა და ა.შ. მორგებული გამოყენება.

6.4. სოციალური ეკონომიკა

სოციალური მოიცავს ყველაფერს, რაც საზოგადოებას, ადამიანებს ეხება. ეკონომიკა, სწორედ მათი სასიცოცხლო უზრუნველყოფის სისტემაა, ამიტომ, თავისთავად ეკონომიკა სოციალურად არის ორიენტირებული.

ცალკე გამოყოფენ სოციალურ სფეროს, როგორც ეკონომიკის ნაწილს და რომელიც დაკავშირებულია ადამიანთა მოთხოვნილებებთან და მათ მიერ საქონლისა და მომსახურების მოხმარებასთან.

დამკვიდრებულია ასეთი კატეგორია—სოციალური ეკონომიკა, რომელიც შეისწავლის მოთხოვნილებათა აღმოცენების ბუნებას, სამომხმარებლო მოთხოვნილებებს, მოხმარების სტრუქტურას, გამოყოფს ადამიანის, ოჯახის, სოციალური ჯგუფების, რეგიონების, საზოგადოების რაციონალურ მოთხოვნებს.

მეორეს მხრივ, სოციალური ეკონომიკა შეისწავლის მოსახლეობის სხვადასხვა ფენისა და ჯგუფის შემოსავლებს, მათ სახეებს, სტრუქტურას, აღმოცენების პირობებს, წყაროებს, დონეს.

ეკვლევს აგრეთვე ადამიანისა და ოჯახის სამომხმარებლო ბიუჯეტს.

სოციალური ეკონომიკა მოიცავს ისეთ კატეგორიებს, როგორცაა: ფულადი დანაზოგები, ქონებრივი მდგომარეობა. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული საკუთრებით ფორმებთან და ურთიერთობებთან.

ცალკე მეცნიერებად ჩამოყალიბდა შრომის ეკონომიკა. იგი ახასიათებს შრომის პირობებს, ანაზღაურებას, დასაქმებას, უმუშევრობის დონეს, სოციალურ სფეროს.

ეკონომიკის სოციალური სფეროს დარგებად გამოიყოფა:

- მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება;
- განათლება;
- მეცნიერება;
- კულტურა;
- ჯანდაცვა (ამასთან დაკავშირებულია ფიზიკური კულტურა და სპორტი).

ადამიანის სოციალურ მოთხოვნილებებად მიჩნეულია:

- * ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები;
- * საზოგადოებრივი მოთხოვნილებები (კულტურაზე, განათლებაზე, ჯანდაცვაზე, დასვენებაზე, რელიგიაზე, ფიზკულტურაზე და ა.შ.);
- * პირადი (ინდივიდუალური), საოჯახო, კოლექტიური (ჯგუფური), სახელმწიფო მოთხოვნილებები;

* სოციალური მოთხოვნები.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყველაზე მწვავედ ვლინდება და ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა მოსახლეობის სოციალური დაცვა.

სოციალური დაცვისა და უზრუნველყოფის ყველაზე გავრცელებული სახეებია:

* საპენსიო უზრუნველყოფა;

* სტიპენდიები;

* სამედიცინო დახმარება და სადაზღვევო მედიცინა;

* დასაქმების ფონდების შექმნა და უმუშევართა დახმარება;

* ბავშვთა სახლები და ინტერნატები;

* ხანდაზმულთა სახლები.

6.5. ერგონომიკა

კარგი ერგონომიკა, უპირველეს ყოვლისა, სამუშაო ადგილზე ადამიანის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და მაღალი შრომის ნაყოფიერების უზრუნველყოფაა, რაც საბოლოო ჯამში კარგი ეკონომიკის საწინდარია. ერგონომიკა კომპლექსურად სწავლობს ორგანიზაციულ, ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ და ა.შ. გარემო პირობებს და მათი გაუმჯობესების რეკომენდაციებს იძლევა. დასავლეთ ევროპისა და ამერიკის განვითარებულ ქვეყნებში ერგონომიკა „ადამიანის ფაქტორი“, ისევე პრიორიტეტულია, როგორც ეკოლოგია და ღიდი ყურადღება ექცევა მისი შედეგების პრაქტიკულ რეალიზაციას. „ერგონომიკულ მაგიდაზე“ ან „ერგონომიკულ სკამზე“ ისეთივე მოთხოვნილებაა, როგორც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე. სამუშაო ადგილის ერგონომიკული უზრუნველყოფით მიიღწევა მაღალი შრომისნაყოფიერება და პროდუქციის ხარისხი.

ერგონომიკა წარმოადგება ბერძნული სიტყვისაგან ერგონ, რაც ნიშნავს „შრომას“ და წარმოადგენს მეცნიერებას შრომის შესახებ. იგი აერთიანებს მედიცინის, საინჟინრო და შრომის ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიის, ინფორმატიკის, სოციოლოგიის, დიზაინისა და შრომის ჰიგიენის მეთოდებს. საზოგადოდ, **ერგონომიკა**–ეს არის მეცნიერება, რომლის მიზანია სისტემაში-„ადამიანი-მანქანა (ტექნიკა)–გარემო“, სპეციალისტის ან სპეციალისტთა ჯგუფის მუშაობის უსაფრთხოებისა და მაღალი ეფექტიანობის უზრუნველყოფა, პერსონალის საიმედოობის ამაღლება და შეცდომების მინიმუმამდე დაყვანა. ეს კი მიიღწევა სპეციალისტთა პროფესიული დონის ამაღლების, შრომის ორგანიზაციის, შრომის პირობების (კომფორტის), ჰიგიენის, მოტივაციის, ფსიქოლოგიური კლიმატისა და სხვათა გაუმჯობესების საფუძველზე.

6.6. ეკონომიკური პოტენციალი

ამჟამად მთელი მასშტაბურობით ღებვა წარმოების ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცების ამოცანა.

ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება ბევრ ურთიერთდაკავშირებულ პრობლემას მოიცავს, რასაც უწინარეს ყოვლისა, განაპირობებს ჯერ ერთი, ცალკეული რეგიონების მიხედვით თვით ამ პოტენციალის მნიშვნელოვნად განსხვავებული ღონე და, მეორეც, მისი ეფექტიანად გამოყენების ასევე განსხვავებული პირობები, შესაძლებლობები და პერსპექტივები.

ეკონომიკურ პოტენციალს კომპლექსური გაგება აქვს. მასში აკუმულირებულია წარმოების მთელი რესურსები, რეზერვები და შესაძლებლობები. იგი მოიცავს მიწის, მატერიალურ-ტექნიკურ და შრომის რესურსებს, მათი და ინტენსიფიკაციის საშუალებების ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობებს და ბერკეტებს და, საბოლოოდ, განსაზღვრავს მთელი საწარმოს ეკონომიკურ სიძლიერეს.

ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცება უშუალოდ უკავშირდება წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფას, შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის ფართოდ დანერგვას, ეკონომიკური მექანიზმის თითოეული ელემენტის ურთიერთშეთანაწყობილ, ღრმად მიზნობრივ, დიფერენცირებულ და რეგულირებულ გამოყენებას, წარმოების ინფრასტრუქტურის სრულყოფას, მეცნიერული რეკომენდაციების შეუფერხებელ და ეფექტურ დანერგვასა და ათვისებას.

6.7. ეკონომიკური მმქანიზმი

წარმოების ზრდისათვის გამოიყენება ეკონომიკურ-ორგანიზაციული ბერკეტები, რომლის ფართო გაგებაა ეკონომიკური მექანიზმი.

ეკონომიკური მექანიზმს ეკონომიკის სამართავი სისტემაც შეიძლება ეწოდოს, მოიცავს ისეთ ეკონომიკურ-ორგანიზაციულ ბერკეტებს, როგორცაა:

- წარმოების დაგეგმვა და პროგნოზირება;
- ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა სისტემა;
- საფინანსო-საბანკო სისტემა;
- საგადასახადო მექანიზმი;
- ფასები და ფასწარმოქმნა;
- მოგება;
- შრომის ანაზღაურების სისტემა;
- ეკონომიკური სტიმულირების სისტემა;
- წარმოების პროცესის მარეგულირებელი ნორმატიულ-, სამართლებრივი აქტები და სტანდარტები;
- სამეურნეო სუბიექტების სტრუქტურა;
- საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები;
- საბაზრო სეგმენტების გაჯერების საექსპორტო-საიმპორტო პროპორციები;
- მენეჯმენტი.
- ინოვაციური და მეცნიერტევადობის ღონე;
- ეკონომიკური მონიტორინგი და სხვა სპეციფიკაციები.

ეკონომიკის განვითარებას, რომელ ეტაპზეც არ უნდა იყოს იგი, ძირითადად (ბუნებრივი ფაქტორებისა და არსებული რესურსების გარდა) განაპირობებს ეკონომიკური მექანიზმი და შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანას მართავს არა პიროვნება, ან პიროვნებები, არამედ სწორედ ეკონომიკური მექანიზმი. რამდენადაც გამართული და ვარგისია ეკონომიკური მექანიზმი, იმდენად დასაბუთებულად და სწორად ვითარდება მთელი ქვეყანა (თავისი ყველა შემადგენელი სისტემითა და ქვესისტემით) და მისი ეკონომიკა.

ეკონომიკური მექანიზმის საშუალებით ხდება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაცია, ხორციელდება მთელი ეკონომიკის ამოცანები და სტრატეგია. ეკონომიკური მექანიზმის სტრუქტურა გაპირობებულია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკით და ცალკეული ეტაპების მიხედვით ხდება მათი დაზუსტება და სრულყოფა.

6.8. მებაეკონომიკა

მებაეკონომიკა ეს იგივე მსოფლიო ეკონომიკაა, იგი შეისწავლის საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ობიექტურად ჩართული ერთობიანი (ცალკეული ქვეყნების) მეურნეობების ერთობლიობას, მათ ურთიერთდამოკიდებულებას, განვითარების ეკონომიკურ მექანიზმს.

მსოფლიო ეკონომიკის საფუძველია შრომის საერთაშორისო დანაწილება. უკანასკნელი 35-40 წლის მანძილზე შრომის საერთაშორისო დანაწილება მთლიანად გარდაიქმნა. მოხდა გადასვლა ტრადიციული ორსაფეხურიანი სისტემიდან (ყველა ქვეყანა იყოფოდა ინდუსტრიულ და აგრარულ-სანეღლეულო ქვეყნებად) სამსაფეხურიან სისტემაზე, რომელიც შედგება უახლესი და პროგრესული ტექნოლოგიების მონოპოლისტი ქვეყნებისაგან; მინერალური და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მიწოდებელი ქვეყნებისაგან და იმ ქვეყნებისაგან, რომლებიც სპეციალიზებული არიან მასალისა და შრომატევადი პროდუქციის აწვობასა და წარმოებაზე.

მებაეკონომიკის შეისწავლის (ძირითადი მიმართულებებია):

- საერთაშორისო ვაჭრობას;
- კაპიტალის საერთაშორისო მიგრაციას;
- ტრანსეროვნული კორპორაციებისა და ერთობლივ საწარმოთა ტიპებს;
- სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციას;
- ეკონომიკური ზრდის საგარეო ფაქტორებს, ტემპებსა და პროპორციებს;
- სასურსათო უსაფრთხოებას;
- მსოფლიო ეკონომიკის რეგულირების მექანიზმს;
- მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებს;
- მსოფლიო ეკონომიკის გლობალურ და ლოკალურ (თითოეული ქვეყნის) პრობლემებს.

მსოფლიო ეკონომიკის დამკვიდრება სამრეწველო გადატრიალებებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგია. მკვლევართა უმეტესობა მას კაპიტალის თავდაპირველ დაგროვებას (როცა სიმდიდრის დაგროვება მოხდა მცირერიცხოვან ადამიანთა ხელში) და დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ხანას უკავშირებს.

მსოფლიო ეკონომიკის (მეურნეობის) ჩამოყალიბების ამოსავალ პერიოდს მეოცე საუკუნის დამდეგს უკავშირებენ, რაც ხანგრძლივ ისტორიულ პროცესებს ახლდა თან. ყველაფერი საერთაშორისო (მსოფლიო) ვაჭრობით, ე.ი. ქვეყნებს შორის საქონლისა და მომსახურების მოძრაობით (გაცვლით) დაიწყო.

6.9. გლობალიზაცია

გლობალიზაცია არის თანამედროვე მსოფლიო წესრიგით გაპირობებული, მსხვილმასშტაბიან, სტრატეგიულ ღონისძიებათა ინტეგრირებული სისტემის ჩამოყალიბების, სრულყოფისა და მართვის დინამიური პროცესი, რომელსაც გააჩნია საერთაშორისო არეალი და სახელმწიფოთაშორისი, შიდასახელმწიფოებრივი, რეგიონული და დარგობრივი კავშირები, მოიცავს ადამიანთა საქმიანობისა და ურთიერთობის თითქმის ყველა სფეროს და მისი მიზანია პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური უსაფრთხოების სტაბილიზაცია.

ამრიგად, გლობალიზაცია მთელი სივრცე-სივრცით დგას ჩვენს წინაშე. საქართველო, ისე, როგორც სხვა ქვეყნები, გლობალიზაციის საერთო წრედშია მოქცეული, რომელიც თანდათან ამტკიცებს თავის ძალხაზებს და გავლენის სფეროებს მსოფლიო ქვეყნებზე.

6.10. ინკლუზიური ბიზნესი

- ბიზნესი სოციალურ სფეროში;
- სოციალური მეწარმეობა;
- სოციალური საწარმო;
- ორგანიზაცია და საწარმო, რომელიც ახორციელებს სოციალურ მისიას სამეწარმეო შემოსავლის მომტანი სტანდარტებით; ამ დროს, სოციალური მიზნების მისაღწევად მამოძრავებელი ძალა არ არის მოგების ზრდა.

ინკლუზიური ბიზნესი შედარებით ახალი ცნებაა, პირველად ის გამოყენებულ იქნა 2005 წელს ჟენევაში გამართულ ბიზნესის მდგადი განვითარების მსოფლიო საბჭოზე.

ინკლუზიური ბიზნესი კომერციული და სოციალური მიზნების ეფექტიან შეხამებას ეფუძნება და ორიენტირებულია ცხოვრების ხარისხისა და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის პირობების გაუმჯობესებაზე, სიღარიბის და სოციალური პრობლემების შემსუბუქებაზე.

ინკლუზიურ ბიზნესში დაბალშემოსავლიანი მოსახლეობა გვევლინება ბიზნესის მონაწილედ (პარტნიორი, თანამშრომელი, მომხმარებელი, მიმწოდებელი) და არა დახმარების ან ქველმოქმედების მიმღებად. ინკლუზიური ბიზნესი ორიენტირებულია ხელმოკლე მოსახლეობის ფინანსური მდგომარეობის სტაბილურ, გრძელვადიან გაუმჯობესებაზე და არა ერთჯერად დახმარებაზე;

დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ბაზარზე მომუშავე კომპანიების რიცხვი განუზრელად იზრდება. კომპანიები დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ბაზარზე არსებულ დაბრკოლებებს თავს ართმევენ სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: პროდუქტის და პროცესების ადაპტაცია, ინვესტიციები საბაზრო ბარიერების დასაძლევად.

განვითარებულ ქვეყნებში ინკლუზიური ბიზნესის აღმავლობა გაპირობებულია საზოგადოების წარმატებული წევრების სოციალური აქტიურობის, პასუხისმგებლობის ზრდით, სოციალურად ორიენტირებული ფასეულობების გავრცელებით, სამეწარმეო პრაქტიკისა და სოციალური მისიის წარმატებული კომბინაციით.

ამასთან, ზოგიერთის აზრით, ინკლუზიური ზრდა გარკვეულწილად წინააღმდეგობრივი ცნებაა. იმისათვის, რომ ეკონომიკა განვითარდეს, საჭიროა ეკონომიკურ ეფექტიანობაზე ზრუნვა. ინკლუზიურობა კი ხშირ შემთხვევაში გულისხმობს სოციალური სამართლიანობის პრინციპის წინ წამოწევას.

6.11. სასურსათო უსაფრთხოება

სასურსათო უსაფრთხოება ეს არის ეროვნული აგრარული სექტორის ისეთი მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით (სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის) მდგრად, სტაბილურ, დინამიურ და მზარდ უზრუნველყოფას და სასურსათო სუვერენიტეტის მიღწევას, რაც ეყრდნობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ფართოდ დანერგვას, ბუნებრივი, ეკონომიკურ-ტექნოლოგიური და ეკოლოგიური გარემოს რაციონალურ გამოყენებას, ქვეყნის ზონალური თავისებურებების, საბაზრო ეკონომიკისა და საბაზრო სეგმენტების გაჯერების მოთხოვნებისა და მოტივაციების გათვალისწინებით, და რაც აისახება მსოფლიო გლობალიზაციის, საერთაშორისო ეკონომიკური და სასურსათო ურთიერთდამოკიდებულების და გეოეკონომიკური სტრუქტურის საერთო სისტემაში.

6.12. ლოჯისტიკა

ლოჯისტიკაში მოიაზრება მომხმარებელთა მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილება მატერიალური და მასთან დაკავშირებული საინფორმაციო და ფინანსური რესურსების ოპტიმალური და ეფექტური მართვის საფუძველზე.

ამ მიზნის მისაღწევად ლოჯისტიკა მოიცავს და აერთიანებს: წარმოებას, ინფორმაციების გაცვლას, დასაწყობებას, ტვირთგადამუშავებას, შეფუთვის და ა.შ.

არსებობა ტერმინი „ლოჯისტიკის სერვისი“.

ლოჯისტიკის მისიაა კლიენტურის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საქონელზე, მინიმალური დანახარჯების პირობებში, რომელიც ემყარება სისტემის „ტრანსპორტი-სასაწყობო მეურნეობა-მარაგები“ ფუნქციონირებას.

7.საინტერესო სმოხები

Interesting News

პომიდორი და კიტრი ბოსტნეულია თუ ხილი?

ომარ ქემელაშვილი-
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

არც ერთი საკვები ისე არ აკავშირებს ერთმანეთთან ხილსა და ბოსტნეულს, როგორც პომიდორი.

სკოლაში ალბათ გასწავლეს, რომ პომიდორი ბოსტნეულია, თუმცა საქმე არც ასე მარტივადაა. სინამდვილეში, პომიდორი არის როგორც ბოსტნეული, ისე ხილი.

განმარტება სიტყვა „ხილის“ ორნაირ განსაზღვრებაში უნდა ვეძიოთ. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო თვალსაზრისით, პომიდორი ხილია.

Merriam-Webster-ის ლექსიკონის მიხედვით, ხილი არის „თესლოვანი მცენარის საჭმელი, რეპროდუქციული სხეული“.

ბლოგპოსტში, ლექსიკონი ხილს უფრო მარტივად განსაზღვრავს: „ნებისმიერი რამ, რაც მცენარეზე იზრდება და წარმოადგენს საშუალებას, რომელშიც მცენარე თესლებს იკეთებს, არის ხილი“.

ეს განსაზღვრება მოიცავს ვაშლს, პომიდორს და მცენარის ნებისმიერ ნაყოფს, რომელიც თესლებს შეიცავს (მეცნიერების მიხედვით, ხილია კიტრიც, წიწაკაც, გოგრაიც, ავოკადოც).

მეორე მხრივ, ბოსტნეულს უფრო გაურკვეველი განსაზღვრება აქვს. ამ სიტყვას ვიყენებთ ბალახოვან მცენარეთა ვრცელი ჯგუფისათვის, რომელთა სხვადასხვა ნაწილიც საკვებად გამოიყენება, მაგალითად, ფესვები, ღეროები თუ ფოთლები.

ლექსიკონის მიხედვით, კრიტიკული განსხვავება ის არის, რომ ბოსტნეული უნდა იყოს მცენარის ნაწილი ან მთლიანად მცენარე, ხილი კი მხოლოდ ის ნაწილი, რომელშიც მცენარე თესლებს იკეთებს.

„მცენარე პომიდვრის შემთხვევაში, ეს თავად მცენარის ნაწილი არ არის, დაახლოებით ისეა მისი ნაწილი, როგორც ქათმისთვის კვერცხი ან ვაშლის ხისთვის ვაშლი“, –წერს Merriam-Webster-ი.

თუმცა, გაურკვეველობას წარმოშობს ის ფაქტი, რომ „ბოსტნეული“ არა ბოტანიკური კლასიფიკაცია, არამედ კულინარიულია. ასეთივეა „ხილიც“–„აქვს თესლთან დაკავშირებული ტკბილი რბილობი და როგორც წესი, მიირთმევენ დესერტად“, –განმარტავს Merriam-Webster-ი.

სამეცნიერო თვალსაზრისით, ხილი აუცილებელი არ არის ტკბილი იყოს, მაგრამ რაც შეეხება კულინარიას, ხილს, რომელიც ტკბილი არაა, ბოსტნეულს აკუთვნებენ.

ნუტრიციონისტები (კვების სპეციალისტი) ტერმინებს აღიარებენ მათი ზოგადი გამოყენებიდან გამომდინარე და შესაბამისად, აშშ-ის სოფლის მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს პომიდორი ბოსტნეულის სიაში აქვს შეტანილი.

ამ საკითხს გვერდი ვერ აუარა აშშ-ის უზენაესმა სასამართლომაც კი. 1893 წელს სასამართლო იძულებული გახდა ემსჯელა საკითხზე, უნდა დაბეგრულიყო თუ არა იმპორტირებული პომიდორი Tariff Act of 1883-ის ფარგლებში, რომელიც მხოლოდ ბოსტნეულს ეხებოდა და არა ხილს.

ორივე მხარე განმარტებისთვის ლექსიკონებს იშველიებდა, მაგრამ საბოლოოდ, სასამართლომ ბოსტნეულის მხარე დაიჭირა.

გადაწყვეტილება სასამართლომ მოკლედ განმარტა: „ბოტანიკური თვალსაზრისით, პომიდორი ხილია, ზუსტად ისევე, როგორც კიტრი, გოგრა, ლობიო თუ ბარდა, მაგრამ ხალხის ყოველდღიურ ენაში, ეს ყოველივე ბოსტნეულია, რომელიც ბაღჩეებში იზრდება და იჭმევა როგორც უმი, ისე მომზადებული“.

მომზადებულია Business Insider-ის მიხედვით.

8.საკითხის დასმა Problem Statement

სიტყვა მანკარეშეობაზე

ომარ ქემელაშვილი-
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

მეაბრეშუმეობასთან დაკავშირებით, ჩემს სიტყვაში ორი პატარა
ნაწილი გამოიყოფა, მსჯელობისას შეიძლება მესამეც გამოიკვეთოს.

პირველია-ფენომენი, მეორე-ეკონომიკა.

ფენომენი.

საქართველოსა და ქართველ ერს რამდენიმე გამორჩეული ფენო-
მენი (საოცრება, იშვიათობა) გააჩნია, რომელსაც ნებისმიერი ქვეყანა
ინატრება. ესენია: ენის, დედის, ადათ-წესების, სიმღერის, ცეკვის,
ვაზისა და ქვევრის ღვინის, სუფრისა და სადღეგრძელოსი და სხვა.
ქართული აბრეშუმეობა ასეთ ფენომენტთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს.

საქართველოს მეურნეობის იმიჯს, მთელი ისტორიის მანძილზე,
სხვა ტრადიციულ დარგებთან ერთად, განსაზღვრავდა და წარმო-
აჩენდა მეაბრეშუმეობა. აბრეშუმით ფასობდა საქართველო მეზობელ
თუ შორეულ ქვეყნებს შორის. მას უკავშირდება დიდი აბრეშუმის
გზაც. ამ დარგის განვითარებაში დიდი ეროვნული ტრადიციები და-
მკვიდრდა, რასაც დაცვა და შენარჩუნება სჭირდება.

ეკონომიკა.

თითოეულ ჩამოთვლილ ფენომენტთან დაკავშირებით ეკონომიკა
ფრთხილ დამოკიდებულებას მოითხოვს. შევეხები ეკონომიკის იმ სი-
ბრტყეს რომელზე აქცენტსაც იშვიათად აკეთებენ. ეკონომიკა სრუ-
ლიადაც არ გულისხმობს მხოლოდ მოგების მიღებას. შეიძლება ზო-
გიერთი მიმართულებისა და სფეროს, მ.შ. ეროვნულ ფენომენტთა გან-
ვითარებაზე, ასევე ფუნდამენტურ (თეორიულ) კვლევაზე, დიდი ფი-
ნანსები იხარჯებოდეს, მაგრამ მოგებას არ იძლეოდეს, ანდა ზოგიე-
რთი სტრატეგიული დარგი, სათანადო სახსრებს თხოულობდეს,
მაგრამ, გარკვეულ ეტაპზე, მოგებას არ იძლეოდეს. ეს მიდგომა მი-
ნიშნებით უკავშირდება მეაბრეშუმეობასაც. ამიტომ, ზოგიერთთა
მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ეს დარგი არამომგებიანია და მასზე

ფინანსები არ უნდა გამოიყოს, საფუძველშივე მცდარი და მიუღებელია.

აბრეშუმი წმინდა პროდუქტად ითვლება, შესაბამისად, მეაბრეშუმეობა, ისე როგორც მეფუტკრეობა, ქართულ ტრადიციებთან ასოცირდება და საქართველოსათვის იმდენად ეროვნული, უნიკალური, სტრატეგიული და პრიორიტეულია, რომ არარენტაბელურიც რომ იყოს მაინც უნდა განვითარდეს. თუმცა, კარგი და გონივრული გაძღოლის პირობებში არ შეიძლება რომ სარფიანი არ იყოს (ამის საფუძველი თეორიულადაც კი არ არსებობს).

რაც შეეხება ბიზნესს. ბიზნესური საქმიანობა მხოლოდ და მხოლოდ მოგების მიღებას გულისხმობს და ნიშნავს შეხვედრე ადამიანთა საჭიროებებს. ამიტომაც, დღეს-დღეობით მეაბრეშუმეობა არ უნდა ჩავერთათ ბიზნესურ წრედში და იგი ეკონომიკურ საქმიანობად უნდა მივიჩნიოთ.

ერთი საინტერესო დაკავშირებაც. მიჩნეულია, რომ სოფლის მეურნეობაში პესტიციდების გამოყენება ორლესური იარაღია. მათი, ნორმების დაცვით მოხმარება სიკეთის მომტანია, არასწორ გამოყენებას კი დიდი ზიანის მოყენება შეუძლია. ასეა ეკონომიკაც. მისი დასაბუთებული და გონივრული გაძღოლა მომგებიანია, შეცდომების დაშვებისას კი მისი ზოგიერთი სფერო არარენტაბელური და ზოგჯერ ზარალის მომტანიც კი შეიძლება გახდეს.

მესამე ნაწილი-პერსპექტივა.

საქართველოში, მეაბრეშუმეობის განვითარების საკმაოდ ხელშემწყობი პირობები და დიდი შესაძლებლობები არსებობს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას შემუშავებული აქვს საამისო სტრატეგიული პროგრამა-რეკომენდაციები და მისი რეალიზაცია სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანად უნდა გამოცხადდეს. ამ დიდ საქმეში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

**ჟურნალის „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“-
ის თემატიკური სტრუქტურული სქემა (განყოფილებები)**

- I. ზოგადი მიწათმოქმედება.
- II. მემცენარეობა.
- III. სელექცია, გენეტიკა, მეთესლეობა.
- IV. ნიადაგმცოდნეობა და აგროქიმია.
- V. მელიორაცია და ირიგაცია.
- VI. მცენარეთა დაცვა.
- VII. მექანიზაცია და ელექტიფიკაცია.
- VIII. აგროსატყეო-სამელიორაციო ღონისძიებები.
- IX. ნიადაგის ეროზია და მასთან ბრძოლის ღონისძიებები.
- X. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები.
- XI. მეცხოველეობა.
- XII. ვეტერინარია.
- XIII. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება და შენახვა.
- XIV. ეკონომიკა და ბიზნესი.
- XV. აგრარული ეკონომიკა.
- XVI. ეკონომიკური თეორია.
- XVII. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები.
- XVIII. მსოფლიო ეკონომიკა.
- XIX. ნორმატიულ-საცნობარო მასალები.
- XX. საკონსულტაციო დარბაზი.
- XXI. სადისკუსიო კლუბი.
- XXII. უწყვეტი სწავლების დარბაზი.
- XXIII. საინფორმაციო მაცნე.
- XXIV. აგრარული და აგროეკონომიკური ტერმინოლოგია.
- XXV. გამოჩენილი აგარარიკოს-ეკონომისტი მეცნიერები.
- XXVI. სიტყვა აკადემიკოსს.
- XXVII. კომპეტენტური აზრი.
- XXVIII. დოქტორანტთა დარბაზი.
- XXVIII. ბაკალავრთა დარბაზი.
- XXIX. ახალგაზრდა მეცნიერის პოზიციები.
- XXX. საკითხის დასმა.

	გვ.
1. აგრარული ეკონომიკა-Agrarian Economy	5
ომარ ქეშელაშვილი-სასურსათო პროდუქციის ფასებისა და ფასწარმოქმნის სისტემის სრულყოფისა და რეგულირების მექანიზმი	5
O. Keshelashvili-Mechanisms for Refinement and Regulation of Prices and Price-formation of food products	21
2.მხილვობა- Fruit-growing	22
გიორგი ხომასურიძე-კლიმატური პარამეტრების გავლენა თხილის ნარგავებზე	22
Giorgi Khomasuridze-Effect of Climatic Parameters on Hazelnut Plants	23
3. კვების მრეწველობა- Food Industry	31
ნუგზარ ბალათურია, ნანა ბეგიაშვილი, მედეა ორმოცაძე, ცისანა შილაკაძე, ბექა ბალათურია-ყურძნის წვენი და მზადების გაუმჯობესებისა და სრულყოფის გზები	31
Nugzar Baghaturia, Nana Begiashvili, Medea Ormotsadze, Tcisana Shilakadze, Beqa Baghaturia-Ways to improve grape juice production	38
ლ. კოტორაშვილი, მ. ორმოცაძე, ე. ედიბერიძე-ყურძნის ნედლეულიდან ჰიდრატოპექტინის მიღების რაციონალური ტექნოლოგიის დამუშავება	39
L. Kotorashvili, M. Ormotsadze, E. Ediberidze-Working out the rational technology of receiving the hydro-pectin from grape raw material	44
4.საკონსულტაციო დარბაზი- Consulting hall	45
გოჩა ბერიძე- სასოფლო-სამეურნეო ექსტენცია აჭარაში და მისი პერსპექტიული მიმართულებები	45
Gocha Beridze-Agricultural extension in Adjara and its promising directions	51
5. უწყვეტი სწავლების დარბაზი-Continuous Studying Hall (ო. ქეშელაშვილი, O. Keshelashvili)	52
ლეექცია 20 ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტი	52
20.4. ფერმერული მეურნეობის რისკის მართვა	52
20.4.1. სამეურნეო რისკის არსი	52
20.4.2. სამეურნეო რისკის მართვა (რისკ-მენეჯმენტი)	56
20.4.3. ალტერნატიული გადაწყვეტილების მიღება რისკის პირობებში	63

6. ტერმინები-Terms (ო. ქეშელაშვილი, O. Keshelashvili)	65
6.1. ინსტიტუციური სისტემა	65
6.2. ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემო	66
6.3. ეკონომიკური ტექნოლოგია	67
6.4. სოციალური ეკონომიკა	69
6.5. ერგონომიკა	71
6.6. ეკონომიკური პოტენციალი	72
6.7. ეკონომიკური მექანიზმი	73
6.8. მეგაეკონომიკა	74
6.9. გლობალიზაცია	75
6.10. ინკლუზიური ბიზნესი	76
6.11. სასურსათო უსაფრთხოება	77
6.12. ლოჯისტიკა	78
7. საინტერესო ცნობები- Interesting News.....	79
ომარ ქეშელაშვილი-პომიდორი და კიტრი ბოსტნეულია თუ ხილი?	79
8.საკითხის დასმა-Problem Statemnt	81
ომარ ქეშელაშვილი-სიტყვა მეაბრეშუმეობაზე	81
შინაარსი-CONTENTS	84

მოთხოვნები დასაბეჭდად წარმოსადგენი სტატიების მიმართ:

1. სტატიის მოცულობა–5-6 გვ-მდე; ნაბეჭდი (LitNusx– 11; 1,0 ინტერვალზე. სათაური LitMtavrPS –11, ფორმატი Page Setup-ში: Top 1.0; Left 15.8; Bottom 1.0.; Right 1.0;), ერთი ეგზემპლარი და CD-ზე. არ გადატვირთოთ დიაგრამებითა და სქემებით, ცხრილები უნდა იყოს კომპაქტური, ვერტიკალურად ნაბეჭდი.
2. სტატიას უნდა ახლდეს **რეზიუმე** (ინტერნეტული ვერსია–0,5 გვერდამდე) ქართულად და ინგლისურად;

2018 წლის IV კვარტალი

ტექნიკური რედაქცია:

გ.მოსაშვილი-აკადემიური დოქტორი-ტექნიკური რედაქტორი, ვებ-გვერდის რედაქტორი, კომპიუტერული უზრუნველყოფა: ინგლისური ვერსია-ი.ბახტაძე, თ. ეპიტაშვილი.

ჟურნალის დამფუძნებელი და გამომცემელია

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი.

ჟურნალის გამომცემლები და ფინანსური მხარდამჭერები:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (პრეზიდენტი, აკადემიკოსი გალექსიძე), შპს-პროფესიონალ კონსულტანტთა ჯგუფი (დირექტორი სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი დ.ეგიაშვილი),

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,0

პირობითი ნაბეჭდი თაბახი 5.4